

K 69° 030  
Z

માત્રમાન કુલગઢ

၁၆၂၀၃၆၄၅၈  
၂၀၂၄



1500 8C923J6

ООНСНІС


ସ୍ଵାତନ୍ତ୍ର୍ୟ କିନ୍ତୁ

ସାମାଜିକ  
ପାଦପରିବହଣ



1500 ୯୮୭୩୩୦୬

୦୯୮୩୩୦୦



Dr. A. PAPAVA

**POEMAS**

**Y**

**ENSAYOS**

(en idioma georgiano)


Santiago de Chile

1960

«ଶେନମାନ କୁର୍ରାଙ୍ଗିଲମାନ ହାମାଲିଙ୍ଗା ଗୁଣୀ କଣ୍ଠେ-ମ୍ୟାରୀ,  
ସାମାରତଳିଙ୍ଗାନୀ ଗୁଣୀ ଲାଗଲେ, ଲାମିଥେବ ପାରି...  
ଗୁଣୀ ରାମ ଏମ ଫିରିଥିଲେ ଲାମିନାହାନ୍ତି, ଲାମିତିରେଥିଲା...»

ବେଣୁ

K 69.030



Հյակո Քահազա

(Թուր Սալոնիքը Օթողի մոլցաֆյունիս 50 թվականից տարեց)

## მცირე არის

(«დაუკარგველობისათვის ამისა...»

ჭლატონ იოსელიანი).

ეს წიგნი აკაკი პაპავასი, როგორც მკითხველი და-  
ინახავს, მთლიანად ჩვენი დედაქალაქის ათასხუთასი წლის  
დღესასწაულისათვისაა მიძღვნილი და ავტორს სწადდა  
ჩვენი თაობის ემიგრაციის მამულზე მვილური წმინდა გან-  
ცდები, მისი თავისუფალი სიტყვა და გულწრფელი სი-  
ყვარული თბილისათვის მიეწვდინა.

დიდის შვენებით და ბრწყინვალებით ჩაატარა ქართ-  
ველმა ხალხმა ეს ისტორიული დღეები... ამ იშვიათი ზე-  
იმობის ასპარეზიდან ბევრი რამ ითქვა, მრავალი წარსუ-  
ლო გაცოცხლდა, რაც ჩვენს გულს სიხარულით ავსებს;  
თუმცა ამ სიხარულს სევდაც ჰბურავდა, რომ ჩვენ ამ დიდ  
დღეებს ვერ ვესწრებოდით, მის განათებულ თაღებს თავს  
ვერ ვაფარებდით.

მაგრამ ოდნავი ჩრდილი ამ ზემსაც გაეკრა: იმ ხანებ-  
ში ჩვენი სახელოვანი მწერლობის მიერ ზოგი რამ ისეთიც  
ითქვა და დაიწერა, რაც საქართველოს და მის დედაქა-  
ლაქის მდიდარ მატიანეს ვერას შემატებს და შესაძლოა  
შიგა და შიგ გულრც ატკინოს...

რა ექმნათ? ქართველ მწერალს ხარკი გაალებინეს;  
მსხვერპლი შეაწირვინეს, რის შეწირვა მას არ უნდოდა  
და რის გამო ის ჩუმად სტიროდა.

აი, პატარა «სათავე» ამ წიგნისა.

უქედან ბუნებრივია ქართული ემიგრაციის და მისი მცირედი მწერლობის წადილი: თვისის უშუალო გულ-წრფელობით და თავისუფალის განცდით გადმოხვეწილმა ქართველობამაც აღნიშნოს საყვარელ თბილისის ეს დღე-ები და ზეიმის შორეული მონაწილე გახდეს; თან უნდა ამ ზეიმის დღეებში საკუთარ დედას უმხილოს, ანახოს ის ლრმა ტკივილები, რაიც მშობლის უწყალო და უღვთო განშორებამ მას მიაყენა.

აი, ეს კეთილშობილი ამოცანა უდვია თავს ჩვენი წიგნის ავტორს და ცდილა ჩვენის სახელით ეს ალალი გრძნობები, ეს სიხარული და ცრემლები თბილებს გადა-უშალოს.

თუ რამდენად სძლია ავტორმა ამ ამოცანას, როგო-რის ოსტატობით აამეტყველა ეს განცდები, ამის განსჯაში მე არ შევდივარ. ეს უფრო გამოცდილ და მიუდგომელ კრიტიკოსთა საქმეა და არა ახლო მეგობარის...

მაგრამ ავტორის ცდა გულთბილია და ყოველი გად-მოხვეწილისათვის საპატივო; და მიყუჩებული იმედი ცო-ცხლდება, რომ ქართველი ემიგრაციის ეკლიან-ცრემლი-ანი გზა ერთხელაც ყურადღების და შესწავლის ღარსი გახდება...

მართალია, ლერიბნი ვართ და ჩვენი ემიგრაცია ბევ-რით, ძალან ბევრით ჩამორჩება ძველს; უფრო მეტად ჩამორჩება მისი მწერლობა არჩილ და ვახტანგ მეფეთა ემიგრაციის მწერლობას, ვერცხლის ეპოქა რომ შეგვიქმნეს, მაგრამ ჩვენც ხომ იმავ საქართველოსათვის გადმო-გხვეწილვართ და ჩვენთვისაც ხომ «შარბათი ნალველად ამოიწებოდა». ამ ემიგრაციის მწერლობის საგანიც ხომ დაკარგულ მამულის უანგარო სიყვარულია და მისი ხილ-ვის გრძნობა ისევ ისევ მძაფრი და უკვდავია.

ეს ამართლებს მას ისტორიულ ჰერისტორიაში, ანა-თებს მის გზას და ჩვენ გვჯერა, რომ ეს მწერლობა ერთ-

ხელი თავის ადგილს დაიპყრობს, რომ ერთხელ მისი გული კი მიმდინარეობა...  
ლის ცემის ყოველი ნაკვთი შესწავლილი იქმნება...

როგორც თავში მოგახსენეთ, ჩემი მიზანი არაა ამ წიგ-  
ნში მოთავსებულ ლექსების თუ წერილების გარჩევა-შე-  
ფასება. მე მსურს ამ წიგნით გამოწვეული ფიქრები, აგ-  
ტორს რომ ეხებიან, არც თქვენ და არც თვით ავტორს და-  
ვუმალო.

ამ წიგნს, საზეიმოდ რომ დაიწერა, ზოგი უხერხულო-  
ბაც თან დაჰყეა.

ზეიმი თბილისისა, მისი 1.500 წლის შესრულების გა-  
მო ხომ კარგა ხანია ჩატარდა, დავიწყებასაც მიეცა. ჩვენს  
დედაქალაქს ამჟამად ყოველდღიურობის სიცხადე, შრომა,  
ნაღველი და სიხარული დაეუფლა.

ამრიგად, ჩვენი ემიგრაციის მწერლობის მილოცვები  
და ეს წიგნიც ცოტა ნაგვიანებია, მაგრამ ამაში ავტორს  
ბრალი არ უდევს. მიზეზია მრავალგვარი დაბრკოლება,  
რაც ემიგრანტულ პირობებში ჩვენს გამოცემებს ასე უწ-  
ყალოდ წინ ეღობება... ერთად ერთი «კაპიტალი», რაც  
ჩვენს ემიგრაციას შერჩა, არის მხოლოდ სიყვარული,  
და ამით ყველა დაბრკოლებათა გადალახვა შეუძებელი  
გახდა. მაგრამ ამ სიყვარულის მასაზრდოებელი გული ხომ  
განუწყვეტლივ სცემდა და დაგვინებაც ცოდვად არ ჩაე-  
თვლება...

სწორედ ამ «დაგვიანების» გამო ერთი დატაც მოახ-  
ლოვდა და გატეხილად რომ ვსოქვა, ეს სტრიქონებიც ამის  
გამო იწერება.

იმ დიდ ზეიმების შემდეგ ჩვენი პატარა, შინაური აბა-  
რა სახსენებელია? მაგრამ დატა დაემთხვა და პატარა ამ-  
ბებსაც პატარა ისტორია სჭირია...

წელს, როცა ამ წიგნის გამოცემა ხერხდება, მისი ავ-  
ტორის სიცოცხლის ზარებმა 70-ჯერ უნდა ჩაიგრძოს.  
მაგრამ ეს წელი აკავი პაპავასათვის და მისი ახლობლები-

სათვის სხვაგვარადაც ხდება მოსაგონარი და საგულისხმო გამოყენება 1960 წელს შესრულდება 50 წელი მისა სამწერლო მოღვაწეობისა. აი, ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე აკაკი პაპავას თვისი კალამი ხელიდან არ გაუგდია, მიუხედავად იმისა, რომ ის უწყალო ბეღმა საყვარელ სამშობლოს და ქართულ ხელოვნების კერას მოსწყვიტა.

აკაკი პაპავა ქართულ მწერლობის ბოლო ეპოქისათვის უცნობი როდია. სხვა და სხვა განხილვების დროს დღესაც იხსენიებს მას ესა თუ ის კრიტიკოსი თუ მკვლევარი... მაგრამ ეს «გახსენება» და ავტორის შეფასება უმთავრესად მისი მწერლობის მეხუთედის პერიოდს (1921 წლამდე) თუ ეხებიან. ხოლო მას შემდეგ კი ავტორის თქმისა არ იყოს «აუ, რამდენი ხანი გასულა», და რამდენი ჭალარა მოსულა...

მაგრამ ამ 40 წელმაც ხომ სამშობლო მწერლობის სამსახურში განვლეს.

მართალია, მას საშვალება წაერთვა თვისი ნაწერები გამოექვეყნებინა (გარდა მცირედი ნაწილისა), მაგრამ მისა შემოქმედებით უნარი ამ ხანგრძლივი ლტოლვილობის წლებმა ვერ ჩაჰქლა.

ამ ლტოლვილობის პირველ წლებში მას კიდევ არ შეუწყვეტია კავშირი საქართველოს მწერლებთან. ამ წრეში წინააღმდეგობის ძალა ჯერ კიდევ ვერ ჩაეკლათ...

საქართველოს ოკუპაციის პირველ თვეებში ხომ ყველაზე მტკიცედ მისი მწერლობა იდგა და ა. პაპავა მისი ერთერთი ხელმძღვანელობანი იყო.

სწორედ საქართველოს მწერალთა შეუდრეველ მოხხოვნას მიეწერება, რომ იმ ხანებში ხელოვნების სეკტორის ლიტერატურულ განყოფილების ხელმძღვანელად ის დამტკიცდა... იწყება კლასიკების გამოცემა, ყალიბდება ქართულ ტრადიციის გამტარებელი უურნალი...

მაგრამ ყოველივე ეს ხანმოკლე შეიქმნა და აკაკი პაპავას უხდება სასწრაფოდ სამშობლოს დატოვება.

მაგრამ, როგორც ვსთქვით, მისი კავშირი საქართველოს მწერლობასთან ერთხანად მაინც არ შეწყვეტილა.. მისი წერილები კიდევ იქნებოდა: «ლოშისში» «ქართულ მწერლობაში», «ლეილაში» და სხვ. მოთხოვობები კი «მნათობში» და ცალკე არ წიგნადაც გამოიცა, მაგრამ მალე ეს გზებიც დაიხურა; იმიერიდან ის მხოლოდ ემიგრანტულ გამოცემებში ისტამბებოდა, ან დაუბეჭდავი დარჩა. მისი ნარკვევები, ლექსები, თუ ნოველები იბეჭდოდა კახაბერის, ქეიბურის, გაუტეხელის, თუთბერიძის და სხვა ფსევდონიმებით. ემიგრაციაში გამოიცა მის ლექსთა კრებულიც; სხვათა შორის — ერთი საბავშვო ლექსების წიგნაკი; და აი, ამასთან გვინდა შემდეგი გავიხსენოთ:

სწორედ ამ 5 წლის წინად გამოცემულ საბავშვო ლექსთა ერთ კრებულს თან ახლავს მოკლე მასალა ავტორის ბიოგრაფიის და მწერლობის შესახებ. ის ეძღვნა 65 წლის თავს.

ზედმეტი არ იქმნება ამის გახსენება აკ. პაპავას 70 წლის თავზეც. პლ. იოსელიანის მადლიანის თქმით «დაუკარგველობისათვის ამისა». ზოგი ადგილი იმ წელიდან სიტყვა-სიტყვით უნდა ამოვილოთ. იქ სწერია:

«რუსული გიმნაზია, რუსული უნივერსიტეტი... ქართული გული და ქართული შეგნება... ამან დასძლია და აკაკი პაპავა გახდა გარდასრულ ქართულ საქმეთა და ამბევთა მოყვარული, და ამიტომ საქართველოს მომავალრ-სათვის მებრძოლი... იმ ხანად ქართულ უფლებათა და თავისუფლებათა დამცველი ე. წ. ს.-ფედერალისტური პარტია გახდა; აკაკიმ მას მიაშურა და მის რიგებში ჩადგა, — იბრძოდა მჭერი სიტყვით და მკვეთრი კალმით... და მოესწრო მისი საყვარელი სამშობლო რომ აღსდგა... შემდეგ — საქართველოს პარლამენტის წევრი, ჩვენი დე-დაქალაქის გამგეობის წევრი, ს.-ფედერალისტი. პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი. მოღვაწეობდა იგი პოლ-

ტიკურად და მწერლობაში თავის ორნატს მიარღვევდა...  
მერმე დაიწყო გარდახვეწილობა...»

... აკაკი პაპავაშ მწერლობა 1910 წლიდან დაიწყო.  
მისი დარგი იყო: ნოველები, მინიატურები, და უფროსად  
ლიტერატურული კრიტიკა. ის იყო ახლო თანამშრომეგ-  
ლი უურნალ-გაზეთებისა: «კოლხიდა», «თეატრი და  
ცხოვრება», «სახალხო ფურცელი», «თემი» და სხვ. თა-  
ვის კრატიკულ წერილებში: «ფიქტები სამშობლო ლიტე-  
რატურაზე» იგი ძევლსა და ახალ მწერლობას განიხილავ-  
და და უცხოეთის მწერლობას ქართველ მკაფეველს აც-  
ნობდა. «ბარათები ხელოვნებაზე», «გამჭვირვალე ფირ-  
ფიტები», «რკალები» და სხვა სერიები უცხოეთისა და  
ქართულ შემოქმედების ამბებს გვაუწყებდა. მაშინდელი  
ჩვენი მწერლობის წლიური მიმომხილველი თითქმის ყო-  
ველთვის აკაკი პაპავა იყო. ამას გარდა დაიშეჭდა მისი  
მოთხრობებიც. ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის სა-  
ზოგადოების კრებულში — «გრდემლი» მან მოათავსა  
«მერთალ სხივთა ძნა» (რომელმაც კანკურსზე პირველი  
პრემია მიიღო).

თავისუფალ საქართველოს მწერალთა კავშირმა (ყრი-  
ლობაშ) აკაკი პაპავა მწერალთა კავშირის მეორე თავ-  
ჯდომარედ აირჩია (მგოსან კ. მაყაშვილის მოადგილედ).  
ამ მწერალთა კავშირმა თვის პირველ გამოცემად დაბეჭდა  
აკაკი პაპავას ნაწარმოებთა პირველი კრებული «სოლე-  
ლორი» და გამზადებული იყო დასაბეჭდად მეორე ტომი:  
«ნახშირის ხაზები»...

უცხოეთში იგი თანამშობლობდა სხვა და სხვა სახე-  
ლით გამოცემულ უურნალ — გაზეთებში: «კავკასიონი»,  
«კლდე», «სახალხო საქმე», «ქართლოსი» და სხვ. ბეჭდა-  
ვდა მინიატურებს, ლექსებს, ისტორიულ ნარკევებს და  
სხვა.

«ამ 65 წლის თავზე ვუსურვებთ მას აღდგენილ კერძოსთან მიბრუნებას, და იქ, თავისუფალ შინ თავის გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ნაწარმოებთა დაბეჭდვას და მრავალუამიერ სიცოცხლე ო»... — ამას იტყოდა ხუთი წლის წინად მისი მეგობარი-მწერალი.

მას შემდგომ კიდევ მიემატა ლტოლვილობის ხანას ახალი ხუთი წელი... და დღეს, როდესაც 1.500 წლოვას თბილისისათვის მიძღვნილ ჰიმნებს და ცერემლებად აცმულ სტრიქონებს ვეცნობით, გვინდა გულწრფელად კვლავ მივესალმოთ ავტორს და გვსურს ისიც დავაჯეროთ, რომ მისი სიტყვები: «გედის სიმღერაზე» მას მხოლოდ რითმისთვის მოუტანია, რადგან ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა შექმნას, თუ დაამთავროს და თავისუფალ საქართველოს მწერლობის ანდერძი წმიდათ შეინახოს:

უნდა ძველებურად ირწმუნოს, რომ ერთხელაც იქნება თბილისი მას თვის «საფირონის თვალებს მიაპყრობს» და უხვ წყალობას არ მოაკლებს სამშობლოსათვის დასჯილს...

«სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს» და ავტორს თვისი ვედრება:  
 «თბილ ქალაქო, გახსენ კარი, დამაფრქვიე ეგ მირონი...»  
 უქმად არ ჩაუვლის...

«ლმეროთმან ინებოს, ლმეროთმან ინებოს»...

მეგობარი



## თბილისის ჰიმნი 26 მაისს

«რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრი ესხასა!  
მწვანედ ღელავდეს გარემო, ცვარი ცის მაზედ ესხასა...»

მეფე ვახტანგ მეექვსე

გახსოვთ, გახსოვთ თქვენ თბილისი,  
იმ დღეს მოკაშკაშე,  
კვლავ აღმდგარი ერთ მისი,  
სიყვარულით სავსე,  
ჭრილობები მორჩენილი,  
და იები ხავსზე,  
ქართულ კაბით მოხდენილი,  
დიადემით თავზე...  
აღალადდენ წარწერები  
ათას წლოვან ქვაზე,  
ზღვა დროშები, სამფერები,  
ძველ ზარების ხმაზე;  
მოელვარე ვაზის ჯვარი  
წმიდა ნინოს თმაზე;  
ანგელოსნი დაბლა ფრენენ  
წმიდა სანთლით მხარზე,  
ქალაქს მტრედის ფერსა ჰფენენ,  
მღერენ ცაურ თარზე;  
წინ როკავენ ბანოვანნი  
ძველ შაირთა თქმაზე;  
რაინდები, ახოვანნი

მწყობრად სდგანან მტკვარზე...  
 მზე სხივს მოსდევს, — ეშით, თრობით  
     ჩამობრძანდა ნავზე,  
 მთვარე — ყველა ხუთ მნათობით  
     გადაწვინა მკლავზე...  
 ~~~

მე ვლოცულობ იმ მაისზე,  
     მუხლებს ვიყრი წამსვე;  
 მიყვარს ხატი მისი ისე, —  
     ედემს მივამსგავსე;  
 მათბობს იგი გადმორიყულს  
     აქაც, უცხო კარზე,  
 მომიოხებს დაფლეთილ გულს,  
     ნაგებს ეკალ-ნარზე...  
 სხვა თბილისი სად მენახა  
     ლალი, მოკისკასე,  
 შიგ მაისი დამეჯახა  
     ლხენით, ჰიმნით სავსე..  
 ჩვენს ალდგომას მასში უაქსოვ,  
     მასში მოვათავსე.  
 არა! მართლაც არვის გვახსოვს  
     ჩვენ მაისი ასე...



## ახალ თბილის

... «და დგას თბილისი ამოვლებული  
მტკვარში, მზეში და მატიანეში...»

სვ. ჩიქოვანი

ქართველთ პატრინო, დიდო ქალაქო,  
შემინდევ, უცებ წამოველ ღამით;  
ვერ ვსთქვი: «მშვიდობით, წმიდა ალაგო!»  
მეგონა — გტოვებ შენ ერთის წამით..  
ვეღარ მოგწერე: იმ მძიმე დღეში,  
რომ მქონდა გული მთლად ანთებული;  
შემდეგ გავები გზებზე მახეში  
და ვარ, ვით ჩიტი დაკადებული...  
~~~~~

ვერ შევაჩერე გრძნობა ნაგეში,  
შენზე ფიქრებმა გადამიყოლა;  
დღეს ვეღარ ვიცან თავი სარკეში, —  
რამდენმა წლებმა გადამიქროლა...  
ამ ორმოც წელში მე შენ ვერ გნახე,  
აუ, რამდენი გასულა ხანი, —  
რაც არ მახილე მე შენი სახე,  
რაც არ მასმინე მშობელმა ხმანი.  
~~~~~

დავბერდი... შენ კი ვით უწინ დგეხარ,  
ნუ მეტყვი: შვილო, როგორ წამხდარხარ!  
ნურც მე გამწირავ, — ბევრის მომსწრე ხარ,  
ათას ხუთასის წლისა გამხდარხარ.  
აუ, რამდენი ხანი გასულა,

შაგრამ სიბერე რაში გეტყობა?  
 აგრე ჭაბუკი სხვა ვინ ნახულა,  
 შენში ახალი ხანა ეწყობა.



ორმოც წლის შემდეგ შენს, სურათს ახალს  
 ჩემი თვალები დასჩერებია,  
 ვხედავ დიდ ქუჩებს და სახლებს მდგალს —  
 რა მიწდომაა, რა ფერებია...  
 სჩანს ტბა, ბაღები მწვანედ აყრილი,  
 რა გზა-ხიდები გიშენებია,  
 რა ხელოვნება, რა პურ-მარილი  
 უცხო სტუმრისთვის გიჩვენებია...  
 ათას ხუთას წლით გაჩაღებული,  
 შენ სჭრია არხებსა, აშრობ ჭაობებს,  
 სიბრძნით, მხნეობით გალაღებული,  
 უფლი, პატრონობ მრავალ თაობებს...  
 გარდასულ დროთა ჰანგების, სიტყვის  
 კერას არ აცლი შენ გაციებას;  
 ქართველი, ხაზი ხავსიანი ქვას  
 წინ გვიშლის ახალ კვლევა-ძიებას...  
 ვღელავ, ვცახცახებ მაგ შენ გათხრებზე,  
 როს სჩანს ნატეხი ქვევრის, თუ სტვირის, —  
 ახალ თას წლებს გაიგდებ მხრებზე  
 ამოგყავს მაღლი ქართლოსის ძირის...



ახ, არ იფიქრო — არ შევხარიდე  
 ახალ არტახში შენსა აღდგომას..  
 მსურს — ძლევამოსით მიიჩქაროდე  
 პირველ ქალაქთა რიგში ჩადგომას.  
 მხოლოდ გთხოვ: სადაც ეგ ღუმელია,  
 თვალუწვდენელი სრა სასახლენი,  
 ჰქუხლეს ამბები ძველთა-ძველია,  
 «ქართლის ცხოვრება» იყოს მომლენი...



შენ გენაცვალე, გასწი, იარე,  
გადგიტანია მეხი ამდენი,  
მაგ განახლებას მეც მაზიარე,  
დარჩი ერეკლეს ვაზზე ნამყენი...

აკურთხოს ღმერთმა შენი გამჩენი...



## თბილის — მოზეიშეს

«არ მაქვს სავანე, არც ნავთსადგური,  
მებრძვის ხვედრისა ცვლილება, შური  
მიმოუიქცევი ყველგან დევნილი,  
ვარ სურვილითა გახელებული...»

დავით ბატონიშვილი

ვახ, შენს ზეიშს ვეღარ ვნახავ,  
იმედების ჩაჰერა სხივი,  
ცოტა ვხედავს — ვინ ხარ, რა ხარ?  
შემოგერტყა ნისლი, ცივი...»

მე კი შორით ისევ გეტრფი,  
განცლილ ტანჯვას აღარ ვჩივი  
ჟველებურად დღესაც გეტყვი:  
«შენთვის ვკვდები ოხერ-ქვრივი»...

რა შეგდადრო, რა გაჩუქო?  
შემრჩა მხოლოდ ცრემლთა მძივი,  
ათასხუთას წლის ჭაბუკო,  
ჯღეს ხელს გიწვდი, გიხმობ, ვყივი.

ცრემლი ვკრიბე ცოცხალ-მკვდარმა,  
თითო გახდა სევდით მკვრივი,  
გთხოვ მიიღო, ოდეს მტკვარმა  
მოაყენოს ჩემი ტივი.

ვფიცავ შენს მზეს, მაგ ცხრათვალას,  
 შენს გორგასალს, მამა დავითს,  
 ვფიცავ ყაბახს, ნარიყალას,  
 — მიყვარს შენი ავიც, კარგიც.

შენთვის ათჯერ «ათასხუთას»  
 ღამეს ვტეხდი უძინარად,  
 შენ ცრემლებით გივსებდა თასა,  
 მე ვდნებოდი უჩინარად.

ათასხუთას წლის ზეიმზე  
 ჩემი ძლვენიც შეიწირე,  
 გადმოღვარე მაგ ოქროს მზე,  
 და მაკმარე, რაც ვიტირე.

გთხოვ — ეს მძივა მოწყალებით  
 მკლავს გადიგდო კრისლოსნად,  
 შორს მომძებნო მაგ თვალებით  
 და მიგულვო ეულ მგოსნად.

ერთხელ კიდევ მომაპყარი  
 შენი თვალი - საფირონი,  
 თბილ-ქალაქო, გახსენ კარი,  
 დამაფრქვიე ეგ მირონი...

და როს გესმას შენ ყივილი,  
 მოიგონე ჩემი ბედი,  
 სთქვი: სხვის ტბაზედ შენი შვილი  
 სიკვდილს უხმობს, გიმლერს გედი..



## «სხვა არა შენდა»...

(დედა თბილის)

... თოვდა, ციოდა იმ თებერვალში,  
 გამოვემწყვდიე სუსხიან რკალში;  
 და ჩერა გული ღნებოდა ალში,  
 როს შენს წინაშე ვრჩებოდი ვალში...  
 და გავხდი ხელი,  
 ვალ მოუხდელი...

შენ ლმობიერად გამომეთხოვე,  
 თავზე ნათელი მადლი მათოვე,  
 კვლავ დედის ტკბილი ძუძუ მაწოვე...  
 მე ქი უგნურმა ეგრე დაგტოვე.  
 მაგრამ მშობელი  
 ხარ მწყალობელი...

«მიდიხარ?» მკითხე და მომეც ხელი,  
 თვალებს მოგადგა ცრემლები ცხელი.  
 ამაყმა შენ მათ გზა შეუკარი, —  
 «იყავ ყოჩალად!» დინჯად მითხარი.  
 შხულადა მტკვარი,  
 იხევდა ჯარი...

მოვაბიჯებდი მუხლებ მოჭრილი,  
 დარცხუნილი და წელში მოხრილი,  
 შორით გიმზერდი მონა-მორჩილი,  
 შენ კვლავ მხნედ იდექ ძაძით მოსილი..

ახ, ხომ იცოდი —  
 რა რიგ ვიწოდი.

«დედავ, კალავ მოვალ! გთხოვ დამიჯერო,  
 მტკვარსა უბრძანე — გზა დამისეროს,  
 შენი დიდება ზედ დამიწეროს  
 «მოსვლის ანდერძი» ჩემთვის გიმღეროს.  
 შემინდევ დედავ!  
 შენ ყველას ხედავ.

ჯერ კი დავიცავ შენს სახელს წმიდათ,  
 მისთვის ავიტან დევნასა მშვიდათ,  
 კალავ მოვალ! ვტოვებ აქ ჩემს გულს წინდათ.  
 იყოს იმედი ჩვენ შორის ხიდათ,  
 უსმინე გულსა,  
 შენს წინ დაფლულსა...»

ასე მეგონა, ასე მჯეროდა,  
 ძველი იმედიც დიდ ხანს მღეროდა,  
 რომ დედა ჩემს გულს შემინახავდი  
 და ჩამიღამდი, ოდეს მნახავდი.  
 გაჰქრა ოცნება,  
 მოღუნდა ნება...

ყმაწვილს მეგონა ბრძოლა თამაში,  
 ვხედავ — მოვსტყუვდი მწარეთ ამაში...  
 გთხოვ აწ გახვიო გული მარმაშში,  
 გადამირაზო აკალდამაში.  
 გთხოვ განუსვენო,  
 ტაძარო წმიდა;  
 დედაო ჩვენო,  
 სხვა არა მინდა!..



## თბილისის თამაღვანი

... «თუ დღე სექტემბრობს, მაშ რად ცელქობს  
ჩემში მაისი?

რად დამეუფლა მეყვსეულად ეს გახარება?»

ი. გრიშაშვილი

თბილისი გაჩაღებულა,  
თავს ჰბურავს ოქროს თაღები,  
ლხინითა გალაღებულა  
დღეს ორთაჭალის ბაღები.



მგოსანთ ლანდები მობრძანდენ,  
სცლიან დილამდე ჯიხვებსა,  
შაირობაში მოძალდენ,  
თბილისს ეტყვიან სიტყვებსა.



ისმის ბესიკის «ტატანო...»  
«იარალს» უმღერს გრიგოლი.  
ტატო ჰქუს «გასწი მერანო!..»  
ვით მოვარდნილი გრიგოლი.



იქ ალექსანდრე ხოტბებით  
ატკბობს კეკლუცთა დასსაო,  
ხედავს გორგასალის ხოხბებით,  
შემღერს ერეკლეს თასსაო.



შორით მოესმით თარის ხმა,  
იტყვიან; «ისისც აქ მოვა...

დასძლებს მგოსანის გულის თქმა,  
გვეწვევა საიათნოვა...»



ჭავჭავაძიანთ ქალები  
საყურებს პეპლად არხევენ,  
თეკლე-მანანას თვალები  
ლურჯ სუფრას ეშხსა აფრიკევენ..



ჰფიცავს სამშობლოს მამია,  
სანდრო ელგუჯას ემთხვევა,  
იძახის; «გავქრა უამია»,  
სტირის და უაკოს ეხვევა.



შემოჰყავთ ორ ძმათ ფშაველი,  
გულს ამოსვლია ასკილი,  
შაირით ჰკითხავს ყოველი:  
ვით არს არწივი დაჭრილი!?



აკაკის დასმენ ბულბულად,  
გვერდს უზის დიდი ილია,  
შუბლს ხელს იფარებს მალულად,  
რცხვენიან, რომ დაჭრილია.



მათ მაჩაბელმა მოუთხრო:  
«მტკვარს არ დავნებდი თვითა»,  
ხარობს, რომ ზეამს მოუსწრო  
მან ლოპიანის ნავითა..



ბარათაშვილი წამოდგა,  
საყოვლადწმიდო დასტულა;  
თამადა მტკიცე გამოდგა,  
სხვებს სიტყვა არ დააცალა.



ცისკარზე ლანდნი ჰქონებიან,  
 სტოგებენ ორთაჭალასა,  
 ცეცხლის ღრუბლებზედ ჯდებიან,  
 მიჰყავან იმის ძალასა...



გზაზე თამაღას ჰქითხავენ:  
 რას იტყვის მომავალზედა?  
 დღეს ხომ ძველ წესებს ჰქიცხავენ,  
 ვინ ივლის იმათ კვალზედა?..



ვინ ეყოლება თბილისა  
 აწ მოშაირე-თამაღა?  
 ვინ დასწვდეს ლექსის თილისმას,  
 ვინ გამოდგება ამაღა?  
 მარა

ის ეტყვის: «ნუ გამიწყრებით  
 და ნურც ამ პასუხს იოცებთ:  
 გადავეც დად მოფიქრებით  
 სუფრა გრიშაშეილს იოსებს..»



თბილისი გაჩაღებულა,  
 თავს ჰბურავს ოქროს თაღები,,  
 ზეიმით გალაღებულა  
 დღეს ყველა მისი ბაღები.



## «შენის სიონის ტაძრებში»

აღარი დამშვიდდა ეს ყოფა,  
 გადამერია ფიქრები,  
 მომბეჭრდა ავადმყოფობა,  
 ვსთქვი: «განა უკეთ ვიქნები?



რომ კვლავ გეწვიო, თბილისო,  
 ვნახო მაგ გორაკ-ჭალები,  
 გული კვლავ გადგიხალისო,  
 ამეშვას სევდის ბრჭყალები...



არა, ბევრს არ გთხოვ, იცოდე,  
 მანახვე კალა, ისანი,  
 დაღლილი კვლავ შემიცოდე,  
 წმიდა ზრსხვანი იცანი.



შენის სიონის ტაძრებში  
 ნათელი მაღლი მიწვიმე;  
 სული, მოსილი ძაძებში,  
 შენს მკლავზე გადაიწვინე.  
 აა

გთხოვ — მაშინ მარტოთ დამტოვო,  
 სხეუბს გადუკეტო კარები,  
 ჩემს ლოცვებს ყური ათხოვო,  
 დამესწრან წმიდანთ ჯარები.



«ვაზის ჯვრის» მადლი მომერტყას,  
 სდიოდეს უხვად წყალობა,  
 ლურჯ გუმბათიდან მომესმას  
 «შენ ხარ ვენახის» გალობა.



სიონო, სულს წვევს ფიქრია —  
 და მანამ გერ დავმშვიდდები,  
 ვიდრე არ გადამიხდია  
 მანდ ჩემი პანაშვიდები.



ოხ, სანატრელოვ სანახად,  
 სასწორო ცოდვა-მადლისა,  
 მეც მთხოვნელი ვარ, სამარხად  
 მიწისა — ორი ადლისა...



## «მეც მომიზონე»

თბილისი, მწერენ — აღყვავებული,  
 ახალ ჯავშანში გამოწყობილხარ,  
 რომ ფენისქივით განახლებული,  
 კვლავ საქართველოს დედათ შობილხარ.  
 აპობ მერანით საუკუნეებს..  
 არა, არ ჰგავხარ ქალაქებს სხვებსა,  
 თქმა ჭაბუკურად ისევ გუგუნებს,  
 გვესვრი წყვდიადში მეხივით ხმებსა...  
 ხარ გამკითხავი, ომში გულადი,  
 სხივს აქაც მაწვდენ ყინვაში, ბნელში;  
 იყავ და დარჩი ჩვენი ბელადი,  
 წმიდა გიორგის ლახვარით ხელში.

~~~~~

მსურს, კვლავ ჭაბუკად მეც გამაჩინო,  
 მინდა ვედრებით შემოგითვალო:  
 ჩემზე წყალობა გამოაჩინო: —  
 შენს გარედ წლები არ ჩამითგალო...  
 შენს უნახავად ტანჯვით დაცლილი,  
 ორმოცი წელი — რა სათქმელია?  
 გოლგოთის მთები მაქვს გადავლილი...  
 და ეს დროც განა ჩასათვლელია?..

~~~~~

დღესაც ისე მწვავს ცეცხლის თაკარი  
 და გთხოვ: იმარჯვე ხელში ლახვარი,  
 მტერს დაუმიზნე, გულში ჩაჰკარი,  
 ისევ გაგვიხსენ შენი ბჭის კარი...

მაშინ მეც მიცნობ თმა გათეთრებულს,  
უკვდავებისა მაპყურებ წყლებსა,  
გამიყმაწვილებ გულს დაბერებულს —  
გამომირიცხავ ლოდინის წლებსა.



თუ თვით ვერ მოველ მე შენს ნადიმზე,  
შვილებს გაახლებ, შენ რომ გეტრფიან,  
ამბებს, აწყობილს ჩემს გულის სიმზე,  
შენ გაკადრებენ, მდაბლუდ გეტყვიან...  
იმათ ნათქვამზე შენც მოიგონე —  
რარიგ მიცემდა შენს ახლოს გული,  
რომ სიყმაწვილე არ დამიღონე:  
მაჩუქე სატრფო და სიყვარული...



მაშინ მას ეცვა პეპლების კაბა,  
და ყვავილები ეყარა თმაზე,  
ჩემს დანახვაზე სული განაბა,  
აღვივდა შეინდად «დიდების» ხმაზე...  
მეც მომიგონე: იმ ნათელ დღეში  
შენს მოედნებზე სიტყვები მიოქვამს,  
26 მაისს მაგ სასახლეში  
შენს სადღეგრძელოდ კახური მისვამს.



## ლაშის მატარებელი

მატარებელით მივქრივართ  
 ზანტი მგზავრები ღამითა,  
 ზრუნვით დალლილნი ძლიერს ვზივართ,  
 — თვალებს დავხუჭაუთ წამითა...  
 მოგვინდა ძილი სულ წყნარა,  
 სიზმრის ტალღებში განცხრომა...  
 ატირიდა უცებ პატარა,  
 მას ვერ აჩერებს გაწყრომა;  
 არც მოფერება გაუდით,  
 არც კედის «ნანას» სიმღერა,  
 სტირის, გვაყრუებს ხმაურით,  
 არც ხვეწნა არ დაიჯერა..  
 მგზავრებიც ცდილან გართონ —  
 ცეკვით, სიმღერით, შაირით,  
 შაქარილამებით დაატკბონ  
 და თვალთმაქცობით ნაირით.  
 ბოლოს სთქვეს: «ექიმს მოვუხმოთ;  
 იქნება სტკივა რამეო,»  
 — «არაო», დედა მოუთხრობს,  
 «ძილი გაუტყდა ღამეო..»  
 ალერსით რბილად ახურვენ,  
 თან სთხოვენ — «გაიცინეო»,  
 «ღამე ნებისა» უსურეენ,  
 «გეყოფა, დაიძინეო...»  
 არ იქმნა, ალარ დამშვიდდა,  
 გაჭირვეულდა პატარა,  
 დედას ბოდიში დასჭირდა,  
 კვლავ აიყვანა, ატარა...

«რა ვქნაო», იტყვის, «სხვა ხალხში  
 არ ძალუძს მოსვენებაო;  
 იტირებს, ვიდრე თვის სახლში  
 ლოგინში არ ჩაწვებაო.»



... და როს მანქანა შეჩერდა,  
 ბავშვაც საამო რამ იგრძნო;  
 უიმილით შემოგვაშტერდა,  
 თვისი სადგური რომ იცნო.  
 «მშეიღობით » ვასტრებ ამის თქმას,  
 «ჩაწვები აქ შენს ლოგინში!  
 მეკი ვაგრძელებ ღამის გზას  
 ჩემი სადგურის ლოდინში...»



მრავალი წლები მაქროლებს  
 მატარებელი ქშენითა,  
 ჩემს მოთქმას სხვა ხმებს აყოლებს  
 ის სიმღერით და სტვენითა.  
 ასე ვჭრი... ვერ ვცნობ: ვინა ვარ?  
 თან დამაქვს ჯავრი იმისი,  
 რომ უბსკრულისკენ მივყევარ,  
 და სულ შორს მრჩება თბილისი...



გამხადა მონა, მსახური,  
 აწ დადგეს, კმარა ლოდინი;  
 ჩქარა მაჩვენოს სადგური,  
 სადაც სდგას ჩემი ლოგინი.  
 რომ ვნახო ჩვენი ბალები,  
 დრო გავატარო იქ ლხინში,  
 ვკოცნო თბილისის თაღები,  
 ჩავწევ საკუთარ ლოგინში..



## ჭერილი თბილის 24 თებერვალს

, «... თავო ჩემო, ვით გასრულო, სევდიანო, როგორც  
 წყლულო,  
 საქართველოს რჯულისათვის ათას ფერად წამებულო...»  
 იოსებ საკაძე — «დიდ მოურავიანი»

... «აი, კულავ გწერ, ფათხრა მინდა,  
 რომ არ რჩება ჩემი მკერდი,  
 მას დღეს სისხლი წარმოდინდა,  
 ისე, როგორც სარშან გწერდი.  
 რა ვქნა? დღეს ის არ შუშდება  
 არავითარ მაღამოთი,  
 არც წამლები არ უხდება,  
 არც შელოცვა საღამოთი.



ეს ჭრილობა უჩინარი  
 დიდ ხანს ვხვიე ბადით თხელით;  
 ის ზის გულთან, სადაც ჯვარი  
 ჩამომკიდე შენის ხელით.  
 «გმირო», მითხარ, «შენ ეს ჯვარი  
 მიტომ გიძლვენ სასახელოდ,  
 რომ წინ იდექ, როცა ჯარი  
 მხნედ იცავდა საქართველოს...»  
 თავს გიხრიდი; მაგრამ, არა,  
 შენ მადლობა არა მთხოვე;  
 სისხლი ბევრი გაიღეარა,  
 ბოლოს მაინც მიგატოვე...  
 მიგატოვე თებერვალში,

გარს რომ გერტყა ცივი მტერი,  
 ვერ გიცქირე შიშით თვალში,  
 როს გიმიზნეს შუბის წვერი.



მიგატოვე... და იმ დღიდან  
 ამერია გზა და კვალი...  
 მხოლო ხმა მდევს თბილისიდან:  
 «ოცდაოთხი თებერვალი!»..  
 აი, ამ დღეს, ყოველ წელში  
 გულთან მოსჩქეფს სისხლის ღვარი...  
 და შეგვედრებ ჩუმად, ბნელში:  
 — «ვარ ულირსი. ამხსენ ჯვარი!  
 გთხოვ მის ნაცვლად მიწყალობო  
 განტევების მე სიგელი  
 და დედის ხმით მიგალობო:  
 — «მოდი შვილო, ისევ გელი...»



ამ წელსაც გწერი, გითხრა მინდა,  
 რომ არ რჩება ჩემი მკერდი;  
 მას დღეს სისხლი წარმოსდინდა,  
 ვით ყოველ წელს, — როგორც გწერდი...



## თბილისის ჭეიმობისას

კვარცხლბეკზე დაგსვეს, ხოტბა შეგასხეს,  
 თავსა დაგადგეს ოქროს გვირგვინი,  
 ომფორ-ბისონი მოგიფარდაგეს,  
 რომ გაგიმართონ, თბილისო, ლხინი...  
 დღეს ყველის უნდა, რომ მანდ გეწვიოს,  
 ყოველ კუთხიდან საქართველოსი,  
 ხოტბა შეგვადროს, ხელზე გემთხვიოს,  
 დასცალოს თასი სადღეგრძელოსი...



მოჰყავს გორგასალს მოზეიმენი,  
 ძველი მებრძოლნი — მრავალათასი,  
 ვინც დარჩა მუდამ ერთგული შენი  
 ჯვარზედ გაკრული წმიდანთა დასი...  
 შენც მათ ეხვევი, უხდი მადლობას,  
 ვინც გასახელა ათასხუთას წელს:  
 ქართულ ჯარებს და იმათ სარდლობას,  
 ყველის გაუწვდი მოწყალებით ხელს;  
 ვინაც დაგიცვა ძელთა ძველიდან  
 კალა, მეტეხი, შენი სიონნი,  
 ვინც არ გაუშვა ხმალი ხელიდან  
 და შეგინახა ბაგრატიონნი.



მოჰყავს გორგასალს «უკანასკვნელნი»  
 კრწანისის ლომნი, თავგაჩეხილნი,  
 შენი ლირსების, ჯვარის დამცველნი,  
 პატარა კახის ერთგულნი შვილნი...

«განა ეგ იყო უკანასკნელი?»  
 ჰქითხავ გორგასალს გაოცებული,  
 «აღა-მახმადს ხომ მოჰყვა შემცველი,  
 მის შემდეგც მნახეთ გაოხრებული...  
 დღესაც მაჩნია გულზე ჭრილობა,  
 თებერვლის სუსტში მოპარულ მტერის...  
 ვინც გამიწია იმ დროს შეილობა  
 და მხნედ დაიცვა ლირსება ერის,  
 გთხოვთ — ამ ზეიმზე მათაც მოუხმოთ:  
 ტაბახმელას და კოჯორის გმირებს,  
 ვისაც საფლავი ტყველ ქმნილი, — უხმოდ  
 ქართველ დედებთან მეტა მატირებს...»

~~~

... საფლავებიდან წამოაყენეს  
 თეთრი გიორგის ლრდენოსანნი,  
 შენი ზეიმი მათაც აჩვენეს,  
 «ვაშა» უმღერენ ამ ჯარს მგოსანნი.  
 «ნუ, ნუ გრცხვენიანთ,» შენ მათ უთხარი,  
 «აწ გადაეცით ეს დროშა სხვებსა,  
 თქვენთვის მაქეს ცნობა მე გასახარი:  
 — ალგეთს კვლავ ზრდიან ლომნი ლეკვებსა...  
 ერის ლირსება თქვენ არ გაჰყიდეთ,  
 სისხლის დანთხევით მე დამიცავით...  
 ეხლა ეგ ხმლები შვილებს დაჰკიდეთ,  
 უცადეთ ბრძოლას და მხნედ იყავით.»

~~~

და «უკანასკნელთ» მისცა მან ხელი;  
 სწორედა, რომ ადრე არ მოიყვანეს;  
 «აღბეჭდეთ ყველა მათი სახელი!»  
 უბრძანა ჭართლის მემატიანეს.



## ახალ წელს

ეს წელიც ჰქონდა... როგორც სხვა წლები,  
 ისიც უბსკრულში ჩაიძირება,  
 მიაქვთ სუდარით გამხმარი ძვლები,  
 მისთვის არავის არ ეტირება.  
 როგორ შევტრიფოლით მისს დაბადებას  
 და ვულოცავდით ერთმანეთს ყველა;  
 მას ჩენ ვაძლევდით ბევრ დავალებას  
 და ვთხოვდით — ჩქარა რამე ეშველა.



შეიქმნა ძუნწი და ულმობელი,  
 არ გაგვიმართლა ოდნავ იმედი,  
 აღარ გვანახვა მხარე მშობელი,  
 და გეარყევლინა ათასჯერ ბედი.  
 მტერი ისევ ფლობს სამშობლო კარებს;  
 ამხნევებს ჩვენი უბედურება,  
 ფიქრობს: ეს წელიც არ გაგვახარებს,  
 გრძელი გზა ნისლით დაგვებურება...



სასოწარკვეთის მორევში მცურავს  
 უცებ თბილისის მომდის წერილი;  
 ეხარობ, იმედის ვარსკვლავი მბურავს,  
 რომ აქ ლტოლვილი მიპოვა შვილი.




მწერს და მილოცავს ჭომავალი წელსა,  
 თან მთხოვს, რომ ვიყო იმედიანად,

რომ ბედი მასში არ იღებს ხელსა,  
აშუქებს თბილისს ისევ მზიანად...  
~~~

წლები რომ მიდის, მითომ რა გვიშავს?  
სამშობლოს გრძნობა ხომ უკვდავია,  
და მისი მადლიც მანამ დაგვიცავს,  
სანამ ეს დროშა ხელთ გვიკავია...  
ხომ გაგვიშლია «ქართლის ცხოვრება»,  
ლტოლვილთა ხვედრი იქაც ეს არი,  
მაგრამ სტრიქონში წმიდანად რჩება  
სევდა მამულზე — მარად მკვნესარი.  
~~~

მწერას: «ლტოლვილ ქართველთ წმიდა ძელებითა  
ქვეყნები უხვად მოკირწლულია,  
მაგრამ ისვენებს ჩემში შვებითა  
განაწარები მათი სულია.  
თქვენაც მხნედ დარჩით და მოიგონეთ:  
თეიმურაზი, არჩილ, ვახტანგი,  
სამშობლოსათვის რამე იღონეთ —  
გეპყრათ მარადის ხრმალი და ჩანგი.  
გილოცავთ დღესაც ყველას ახალ წელს,  
გქონდეთ იმედი მუდამ იმისი,  
რომ კვლავ იხილავთ სამშობლოს ნათელს  
და გულს ჩაგიკრავთ დედა-თბილისი...»  
~~~

ეხლა ჭალარია რა სათქმელია,  
ბედი მაჩუქა სოყრმის თაღისმა...  
ეს გული ამ წელს უფრო მთელია  
— წიგნი მომწერა მე დღეს თბილისმა!



## «მცხეთა — თბილისის გაბაასება.»

გაპყურებს მცხეთა მტკვარს, არაგვს  
ჩაფიქრდა სვეტიცხოველი,  
ვერ იქნა, ვერ ხსნის ამ არაკა:  
თბილის რაღ მიდის ყოველი?



მტკვარი მოუთხრობს: «თბილისი  
იხდის დღეს დაბადებისას,  
— ათას წუთას წელს — თავისი  
ტახტზედა დაბრძანებისას.»



მცხეთას, გულდაბერებულსა  
მილოცვის გრძნობა აწვება,  
უნდა ეახლოს ქებულსა,  
ვახ!.. მუხლი რომ არ აყვება..



«შენი ჭირიმე, უთხარი,»  
მცხეთა აბარებს ქარსაო,  
«ეს დღე რარიგად მიხარის,  
ენით ვერ შევსძლებ თქმასაო.



ვწუხვარ, ვერ მივალ ბატონთან,  
ტკბილად ვერ ვაწვდენ ხმასაო,  
როგორც შეჰვერის პატრონთან  
იმის ერთგულსა ყმასაო.



კვლავაც აჰყვავდეს, ესა მსურს,  
 იყოს სულ ქართლის თავიო,  
 მისი ზეიმი ვისაც შურს,  
 — გაუხმოს ღმერთმან მკლავიო.



რა ვქნა?.. სირცხვილით ვიშვები,  
 ვერ მივალ... არ მაქვს ძალაო,  
 მასზე მლოცველი ვიქნები,  
 თუ ღმერთმა დამაცალაო.



რაც მაბადია, წაუღეთ:  
 ძველი დიდების ნაშთები,  
 ჩემი საჭურჭლე გაუღეთ,  
 დღეს მეც იმისთვის დავშეტები...»



თბილისმა ეს რომ გაიგო,  
 ცრემლი ჩაღვარა მტკვარშიო,  
 ზეიმი შუა გაიყო, —  
 მცხეთა არ უდგას მხარშიო...



მდივანს უბრძანა «მისწერე:  
 — «ერის მცველო და ჯავარო,  
 ვინა სთქვა შენი სიბერე,  
 ქართლისიანთა მთავარო?



ბატონი თვითონ ბრძანდებით,  
 მიხარის, რომ ყმად გყავარო,  
 უშენოდ დავითანტებით,  
 თუ «სვეტად» მანდ არ დგახარო.



მირონის მცხებო, გამწევო,  
 ხარ ბაგრატოვანთ მცველიო,

ძველო რაინდო, გამძლეო,  
 გაჭვს რკინის საფუძველიო...  
 ~~~

უინ გკადრა: შური, იჭვები?  
 ჭორია, არ ღირს თქმადაო, —  
 მარად ერთგული ვიქნები,  
 შენ რჩები უფროს ძმადაო...

უშენოდ ლხინი რად მინდა,  
 რა სათქმელია სხვებიო!..  
 უნდა დავტოვო მთაწმინდა,  
 ეხლავ მანდ გეახლებიო...»



## კოჯორის ნიავი

ჩეენ ავდიოლით კოჯორის ქედზედა,  
მე თბილის მაღლით გადმოვხედავდი,  
გამწყრალი ვიყავ დიდად ბედზედა,  
რომ გრძელის მხელას ვერ ვიძედავდი.

შენ, ვით ქურციკი, მარდად დახტოდი,  
ნაირ ყვავილებს ჰქონეფდი და ჰქონეფდი,  
კისკისით, მღერით არეს ათრობდი,  
ვით ნაკადული ანკარია ჩეეფდი...

... და ერთხელ მკითხე: «რად ხარ მოწყენით?  
განა პოეტსაც არ ეცინება?  
ნუ-თუ არ სტკბები ბუნების ენით?  
რომ ხარ დაღლილი და გეძინება?»

ჩეენც ვიყოთ ერთხელ, როგორც ბავშვები,  
ვმართოთ ბუჩქებში «კუკუ-მალია»,  
შორით ვაწვდინოთ ერთმანეთს ხმები,  
ვნახოთ: ვინ არის უფრო მალია?»

უცებ ამ გულმა გადმოიჩედა,  
ინდომა: გახსნას ღრმად დაფარული,  
გრძნობაშ იფეთქა, თითქო გაბედა,  
გამცნოს შორიდან ეს სიყვარული...

გაჰქირი... და რაღაც ამხელრდა ჩემში,  
ოდეს ხმა მესმა: «აუ, მიპოვნე!»  
პასუხი ჩავსხი ნიავის გემში,  
შენსკენ ვათრინე, არ დაგიყოვნე.

და შეგეკითხე: «ხომ გაიგონე?  
პასუხს მოეცელი, არ მყოფნის ღონე,  
რაც ვსთქვი — ნიავმა შენკენ წაილო...»  
შენ კი კვლავ მჭითხე: «რა სთქვი? რა იყო?»

გაგიმეორე მძიმე სათქმელი,  
პასუხს ველილი გაფითრებული;  
შენც ამიქნიე ბუჩქიდან ხელი,  
ნიშნად, რომ დარჩი გაკვირვებული.

«ახ, პოეტები ხართ უცნაური,»  
მითხარ, «ცხოვრებას ოცნებით ჰბურავა,  
მითომ გძაგო ქვეყნის ლურ-ზაური  
და ფერიებთან ცაში დაცურავთ..

სულ დაგაციშყდი მე და თამაში...  
რად გასძახოდი: «აუ, ვინა ხარ?»  
რა მეთქვა? ვინ მყავს მოწმე იმაში,  
რომ სულ გეძახდი: «აუ, მიყვარხარ!»

კოჯრის ნიავმა «მხელა» წაილო,  
და ჩვენც ერთმანეთს დავშორდით მალე,  
მას შემდეგ გული აღარ გაიღო, —  
— უცხო მხარეში ვინ მყავს მოწყალე?

დაცარიელდა ჩემი ბუნება,  
თბილისაც მტრებმა აღრე წამართვეს...  
არც სიყვარული, აღარც ცოუნება,  
«კუკუ-მალიაც» სხვებმა გამართეს.

კოჯრის ნიავო, მანდ ჰქრი ზეფირად,  
პირველი — «მიყვარხარს» ჩემსას ატარებ,  
ის ჩემი მხელა იცი ზეპირად —  
გთხოვ — უთხრა სწორად — დღესაც გაბარებ.



## განახლება

«რად დასჭინა სიტყვა თბილისისა, რისთვის ჩამოდნა?  
ტყვის მზის წარიყალს ნაშთზე ნატყორცნი!..»

ი. გრიშაშვილი

ყარაჩოლელი მთვარიან ღამეს  
დაუვლის თბილისს, ეტყვის: «მშვიდობით!»  
კმარა, რაც დღემდე უღვთოდ აწამეს,  
აღარ აღირსეს ხალისი წლობით..

დღეს ნათლად ხედავს, რომ მარტო არი,  
რომ ამსონები უკვე წასულან,  
რომ დაუკარგეს ქალი-თამარი,  
— ყველანი ერთად, შორს დამარხულან.

გაჰერა ქეიფი, ძმობა მართალი,  
ჭრელ სუფრის იოგვლივ სანთლების შუქი,  
არც თარი, ღვინო, მწვადი, მოთალი,  
არც ანთებული გულის პატრუქი...

დღეს ვისლა ესმის დუღუკის კვნესა?  
მოკვდა ლაზათი, კაცის გატანა;  
არც ძველი ლექსი უნდა ვისმესა,  
ას ვინ მოიცლის — დაჰყოს მასთანა?

არც ძველი ქუჩა, არც ის ბინები,  
არც ის დუქნები, აღარც თაბახი,

გაპტრნენ ქალაქის ქველი შვილები,  
 ისე, ვით ვაპტრა ძველი ყაბახი..

აი, აქ იდგა სახლი აივნით,  
 შიგ — სატრფო, ჩუმად გამორჩეული,  
 მის ლანდს შესტრიცოდა აქედან მალვით,  
 სდიოდა ცრემლი გადმონთხეული.

აღგვეს ის სახლი ქველის ჩუქურთმით,  
 არ უცდის ქალი იმის ბანზედა,  
 «წავიდა სიყრმე ჩარდახის ურმით,  
 ყოფა გარიყა ბედმა განზედა..»

დღეს აქ სდგას სახლი სართულით ათით;  
 აღარც ზურნაა, არც ჭიდაობა,  
 მომკვდარა ცეკვა ჭრელის ბალდადით,  
 დაპტრის მანქანით სულ სხვა თაობა.

თბილი ქალაქი გამხდარა ცივი,  
 ის ძველებურად აღარ იცინის,  
 დღეს ყარაბოლელს ჩაუქრა სხივი,  
 და ვინც უყვარდა, გაპტრენ ისინიც.

თვის ძველი ტაძარში შეივლის ღამით,  
 შეიხსნის მძიმე ზარნიშის ქამარს,  
 გამოსათხოვრად მუხლს იყრის წამით,  
 და მოიხსენებს ძმებს და მისს თამარს.

დაპტიდებს სარტყელს ანჩის ხატზედა,  
 გამოდის მჩატედ მთვარიან ღამეს;  
 ის აღარ არის ეხლა დარღზედა,  
 არც თბილისს ჰკადრებს საყვედლურს რამეს.

ძმათა სამარხთან მიეჩქარება;  
 დასცერს რეგოლვერს, მათ ნაჩუქარსა,  
 თათქოს ქორწილში მიეხარება, —  
 თვის დიდ სიყვარულს გაანდობს ქარსა.

ყარაჩოლელთა საფლავებს ნახავს,  
 მათ ორთაჭალას სევდითა უმზერს,  
 სამჯერ პოლკვარსა გამოისახავს  
 და გულს დაიცემს ძმათა «მაუზერს...»

გაღმოეშლება სისხლის ვარდები,  
 თბილისი ლალით მოჭედება,  
 არც ტკივილი აქვს, აღარც დარდები,  
 გულს სიყვარული კელავ მოედება.

აქ ანჩისხატის მას ღვთისმშობელი  
 ეტყვის: «გინახავ, შვილო, ქამარსა,  
 გიცი — გწვავს გრძნობა ჩაუქრობელი,  
 შეეულლები დღეს შენს თამარსა...»

მართლაც გამოჩნდა სატრფო; მოუწვა,  
 მხურვალე ტუჩი დააკრა მაგრა,  
 ჭრილობას ხელი ნაზად მოუსვა,  
 აუშვა მაღალ გრძნობათა აფრა...

უკვდავებისა შესცურნეს ზღვაში,  
 შემოეხვიათ ვნების სარტყელი,  
 ქორწილის ზარი გაისმის ცაში,  
 იქ სიყვარულის დადგეს სანთელი...

და ანჩისხატი ლოცავს იმ ღამეს —  
 ძველი თბილისი, ხედავს, არ ჰქონება,  
 წარსული თუმცა დიდად აწამეს,  
 მაინც ეწვია მას განახლება..



## ორმული

როს განმირისხდა თებერვლის ბედი,  
დავტოვე ღამით თბილისის ჭედი  
და მშობელს ვკადრე: «მშვიდობით დედი!!!...»  
მან გულს დამკიდა ხატი ნაჭედი...

მის შემდგომ თუმცა ბევრა გზით ვეცადე,  
— ვერ შევსძელ — ვალი ვერ მოვიხადე.  
მამძიმებს ხატი ეს უჩვეულო,  
განძი ძვირფასი — საგვარეულო.

ეს უცხო ქვები გარდასული დროთა,  
მხრებს რომ დამაწვა, როგორც გოლგოთა,  
მინდა დღეს საზღვრებს გადავატარო  
და პატრონს — თბილის გადავაბარო.

~~~

უკვე დალამდა, ვერავინ მხედავს,  
სული დაღლილი მანდ მოსვლას ბედავს...  
უჩინრად, ფრთხილად მოვიპარები,  
იქნებ ვიპოვო შენი კარები.

იქნებ მანდ შევხვდე მას, ვინც ნუგეშს მცემს,  
ვინაც გამიტანს და შტერს არ მიმცემს.  
შიშით ვთრთა, როგორც ვერხვის ფოთოლი,  
ვატყობ: თბილისში დღეს ვარ ობოლი.

მესმა ქართული სიტყვა, სიმღერა,  
და ვით გრიგალი გულს დაუძგერა...

ნეტავ ეს კაცი რამ შეაჩერა?  
 ვაი, თუ მიცნო... ეხ, ბედის წერა!..

დღეს სასწაულის მე ხომ არ მჯერა...  
 სთქვას: რას მიმზადებს? მიცნო, თუ ვერა?  
 სხანს — ისიც ლსნდად გადაჭეულა,  
 ჩამოფლეთილა, მთლად დალეულა...

რომ არ მშორდება? თვალებს მაცეცებს,  
 თითქოს ჩემსავით ვიღაცას ეძებს.  
 «გათავდა» ვიტყვი ხელის ჩაქნევით,  
 და შიშით ბილიქს ჩავირბენ ქვევით.

მაგრამ ვგრძნობ — მომდევს, ფეხის ხმა მესმის...  
 აჰა, მომიწყვდევს და თავს დამესხმის,  
 გადამცემს ჯალათს, «მტრად შემოპარულს...»  
 ჩემს წამებებზე იგრძნობს სიხარულს.

და მე ვედრებით ალუპყრობ თვალებს:  
 მომიღოს ბოლო, ნუღარ მაწვალებს...  
 მაგრამ დაცინვას მაინც განაგრძობს,  
 თვალთმაქცეობს — თითქოს ისიც შიშსა გრძნობს.

მუხლს ვიყრი, ვვედრებ: «გოთოვ მაპატიო...  
 ძმაო, მომქონდა შენთვის ხატიო...»  
 უბედან ვიღებ ხელის კანკალით  
 და ამ ქრთამს გამცემს ვაჩეჩებ ძალით.

რას ვხედავ? ისიც დაჩოქით მვედრებს,  
 რომ ავაცდინო მტერს და მისს მხედრებს.  
 მიმხელს: არ არის დანაშაული,  
 მოპევარა თბილისს ეს სამკაული.  
 და თუ არ გავსცემ, ვუყოფ კეთილსა,  
 ეხლა მე მიძღვნის ხატს მოჭედილსა.

აკმარონ მწირსა ცრემლით დაცხრილვა...  
 დღეს მას მოსწყურდა თბილისის ხილვა,

ხომ იყო ის აქ მამა, ხმოსანი,  
მისი მეხოტბე, მისი მგოსანი;

აქ იყო ლალი, თავისუფალი,  
აქ გაუსწორა შეიღ მნათობს თვალი,  
აქ შეიყვარა ქართველი ქალი,  
მისგან ისწავლა სიტყვა ახალი.  
ამ ამაყ სიტყვით ის თავს იჩენდა,  
ლმერთა ნადიმზე ლალად ილხენდა...

მეტყვის: «არა ვარ ქურდი და მკვლელი,  
გთხოვ გამიხსენო აშული ძველი;  
მომქონდა ხატი, ქალაქის მცველი...  
გთხოვ — შენი იყოს, მომეცი ხელი!»..

რასაც მე ვთხოვდი, ისიც მას მთხოვდა,  
ორთავეთ ფიქრი ერთად დაგროვდა,  
ორთავეთ შეგვრჩა ხატები ხელში  
და მოგვებჯინა ცრემლები ყელში...

ამოაშუქა მეტეხზე მთვარემ,  
განგმირა გული საცხადემ მწარემ:  
ვიცანი — იყო ის ორეული,  
ვიყავით ორივ გადარეული...

«გასწით, გაჰქროლეთ!» მოგვძახის მთვარე,  
«თქვენ ურ მიგიღებთ მშობელი მხარე!..»  
მოვრბივარ, კვლავ მდევს; ჩავეშვით მტკვარში  
და ვიძირებით მის ცრემლთა ღვარში...

გათენდა, მტკვარზე გადმოდგა დილა;  
ჩვენ და იმ ხატებს გვთარავდა სილა...



## ორკესტრ

### “ R E Q U I E M ”

«მიღის, მოდის ეს სოფელი, ქარტეხილთა ზღვისებრ  
 ღელავს,  
 უკან დასდევს დრო და ჟამი, მის ნაქსელავს ქსოვს და  
 სთელავს...»

დ. გურაშვილი

პ.

რისთვის გამრიყე ადრე თბილისო? —  
 სოქვი: «ჯერ ბალეა, კვლავ ბევრს იცლისო...»  
 მიმეცი ბრძოლის გულჭვა განგებას  
 და მიმაწერე ლტოლუილთა წყებას.

მკაცრ განაჩენით ყრმას მომევლინე;  
 იმ დღიდან თავი დამაწყევლინე;  
 მაგ შვენებისთვის არ მაჭვრეტანე,  
 ტჭბილი სიმღერა შემაწყვეტინე...

მის შემდეგ განვვლე ათასი გზები,  
 უცხო ქვეყნებში კვლავ ვეხეტები.  
 მაფრენს მერანი, მჩხავის ყორანი...  
 ღმერთო, რამდენი გასულა ხანი...

დაპფარა თმები თოვლმა და რთვილმა,  
 მითხრა «რეკვიემ» ბარათაშვილმა.

თბილისო, არ მსურს მე აქ სიკვდილი,  
 გთხოვ სთვალო ცრემლი შენთვის დაღვრილი  
 და თუ აღმოჩნდეს ვალი მოხდილი,  
 უნდა მიმილო ლჩნდი მოხრილი...

გატყდა ეს გულიც, ოდესლაც სალი;  
 გრძნობის ყველა ხმებს ჩაცვივდა თვალი,  
 ხილვის წადილის ნელდება ალი,  
 რადგან კვლავ მიხშობს კარს გორგასალი.

ვილას მოცსწერო? დადუმდა მკლავი,  
 მოსრა ზამთარმა ძმა, ნათესავი...  
 დღეს კუბოს ჩავსვი ძველი ოცნება,  
 გთხოვ: შეიხიზნონ მოკლულ მგოსნებმა;

გთხოვ — ჩემის ცრემლით ადიდდეს მტკვარი,  
 მეტებს მოასკდეს, ვით ნიაღვარი,  
 შესძახოს: «იდექ! გავა ზამთარი  
 და გაზაფხულზე ჩამოჰკრავს ზარი.»

მაშინ მიტირებს ბედი დამწვარი,  
 მამა-დავითის შემარხევს ქარი...  
 გულს დამეყრება თბილისის ცვარი,  
 ქართული «რეკვემს» მიმღერებს მტკვარი...



## აღთხმა ფარდასთან

ლტოლვილობის უამს უცხო მხარეში  
ლერომა მაჩუქა ბეღნიერება,  
განბანა სულხ იმ სიმწარეში,  
შემოაცალა მანკიერება...

შემთხვევათ უპოვე და შევიძინე,  
თბილისო, შენის სიონის ფარდა;  
იმ დღიდან მშვიდათ ვერ დავიძინე,  
არც მსურდა რამე, მის ცქერის გარდა....

შვინდის მსგავს ატლას შემოხვეოდა  
ქართული ქარგა ნაირ ფერებით,  
მას შუა გულში დაემთხვეოდა  
წმიდანთა გუნდი მზისა ჩქერებით...

უსხდენ ფოთლებზე მაღალ ხის ტოტებს  
წმიდანები და მღერდენ დიდებას,  
ცას ავედრებდენ ქართლისა ცოდვებს  
და გამოსთხოვდენ ღმერთს პატიებას.

მოწამებრივი მეფეთ სახელნი  
წმიდა გალობით ბევრ გზათ ქებულან,  
მატიანეში მათი საქმენი  
«იესეს ძარით აღყვავებულან.»

გუცემერ წარწერებს ხვეჭლ ქარაგმით  
ქსნის ერისთავთა ღირსეულ რძალის,  
ოსტატს, ხელოვანს უთქვაშს ხელსაქმით  
აღთქმა და მიძღვნა, ღირს დედოფალის...

ძველ გამძლეობით, ქართულ სიმტკიცათ,  
განძი მას თითქოს უშენებია  
და ამ ფარდაზე შეკრულსა ფიცით  
მრავალი ღამე უთენებია...

ლოცვებით, ქარგვით დაღლილ მკლავებით  
აღთქმა ბოლომდე მიუყვანია,  
ქართლის სხეულზე ერისთავების  
ჭრილობა ცრემლით მოუბანია.



მოვიყრი მის წინ მუხლს სასოებით,  
მდაბალ თაყვანს ვსცემ ქეთევანს ქსნისას  
და ვთხოვ, რომ დარჩეს ჩემთან დროებით,  
ვიდრე ვიხილავ უამს მისი ხსნისას...

უეცრივ ვიღაც ფარდას სწევს მკლავით,  
დინჯად «ქეთევან» გამობრძანდება...  
ოქროს ქოშით და გრძელის ნაწნავით  
ქსნის დედოფალი მომელანდება.

ჩემ ჭერ ქვეშ ბრწყინავს ლმობიერება,  
მოვა სულ ახლოს, მხარს ხელს დამადებს,  
შუბლზე მემთხვევა, მომეფერება  
და სევდით ნაკვეთ ხმით განმიცხადებს:

«შვილო, ამ ფარდას საოხად ჩემდა  
და ქსნის ერისთავთ სულის სალხენად

აღთქმა, ვით ხედავ, თბილის მისცემდა  
 ტაძრის ტრაპეზზედ გადასაფენად...

მას შემდეგ, რაც ის მტერთ გარანინეს,  
 და უცხო ხელშე ბევრჯერ გაჰყიდეს,  
 ჯვარს მაცვეს, ცრემლთა ღვარი მადინეს  
 და ჩემს სულს გლოვის ლოდი დაჰყიდეს...

ამ ქვეყნიურად რაც განვიცხდე,  
 ისიც მეყოფა — ყველას უთხარი...  
 ვალი ცრემლებით გადავიხადე,  
 აღვავსე ქანი, არაგვი, მტკვარი...

ვერ მოვისვენე, შვილო, აქაცა —  
 ამ განძის ლტოლებამ სული დაქანცა,  
 ვიწვი, რომ ამან ბინა დაჰკარგა,  
 თბილისის სიონს მოაკლდა ფარდა...

დროა — მიჰვარონ, ვისაც შევსწირე  
 და ვითხოვ: შიკრიკთ რომ დააბარონ:  
 საოხად ჩემდა ზვარაკი მცირე  
 ისევ ძველ ტრაპეზს გადააფარონ...»

მეც აღთქმას ვაძლევ დედოფალს ქსნისას,  
 ვფიცავ მის დედას — ბაგრატიონსა,  
 რომ შევასულებ ბრძანებას მისას:  
 ფარდას ვაახლებ თბილის სიონსა.



## «აღთქმა ფარდასთან»-ს გამო

ამ ლექს სარჩულად ერთი სინამდვილე უდევს, რო-  
ნელი მოკლებული არა საზოგადოებრივს და, თუ გნე-  
ბავთ, ეროვნულ ინტერესს.

ამ 30 წლის წინად მე და ჩემს თამარს ბედმა მოულოდ-  
ნელი წყალობა დაგვაკურთხა: ბერლინში ყოფნის დროს,  
სადაც იმ უამად ვცხოვრობდით, ერთი უცხოელის, ჩვენი  
ოჯახის ექიმის საშუალებით, მივაკვლიერ ერთ 『ფარ-  
და』-ს, რომელსაც საქართველოს სიძველეთა შესწავლა-  
სათვის დიდი მნიშვნელობა მიეკუთვნება. სწორედ ასეთი  
შეფასება მისცა ამ ფარდას ჩვენი სიძველეების საუკე-  
თესო მცოდნემ და უებარმა მოამაგემ, აკადემიკოსმა ეჭვთ.  
თაყაიშვილმა.

ჩვენი და ჩვენი ოჯახის ახლობელ მეგობართა და ყვე-  
ლაზე უწინ ძვირფას ექვთიმეს რჩევით და ზემოაღნიშ-  
ნულ ექიმის დახმარებით, ჩვენ დიდის ვაი-ვაგლახით შე-  
ვსძელით ამ 『ფარდის』 — ქართულ მოქარგულობის სა-  
უცხოვო ნიმუშის — შესყიდვა, იმ კერძო პირისაგან (უც-  
ხოელისაგან), რომელს, ვინ იცის, თუ რა გზით, ეს განძი  
ხელთ ეგდო და თბილისიდან გამოეტანა.

შემდეგ, ომის ქარ-ცეცხლისა და მრავალ ხითათის

წლებში ჩვენ ეს ფარდა საიმედო აღგილას გადავინახეთ  
და ამნაირად დღემდე უვნებლად მოვიტანეთ.

ეხლა სულ ცოტა რამ ამ «ფარდაზე», ვიდრე საამისო  
ცრცელ მასალის გამოქვეყნებას დღევანდელ პირობებში  
შევსძლებდეთ.

ეს ფარდა, ანუ უკეთ, ტრაბეზის გადასაფარებელი, დიდის  
ხელოვნებით შეუსრულებია ქსნის «დედოფალს», როგორც  
მარი ბროსე მას იხსენიებს (თანახმად ლარგვისის მონასტრის  
კედელზედ დაცულ წარწერისა), ქეთევანს.

ეს ქეთევანი, ანუ მისი წარწერის თანახმად «ქეთავან»,  
არის მეუღლე ყულარაღაზ იესესი, რომელიც იყო ქსნის  
ცნობილ ერისთავის, შანშე მესამეს ძმა. ქეთევანი იყო  
ასული ბატონიშვილ მაკრინესი, მეფე თეიმურაზ მეორის  
დისა, რომელიც მეფეს ჩოლოყაშვილისთვის მიუთხოვებია.

ამ ქეთევანს, ჩოლოყაშვილის ასულს, მამიდაშვილს დიდ  
ერეკლესას, მრავალ გზით იხსენიებს «ქართლის ცხოვრე-  
ბა» (ომან ხერხეულიძე), და ისტორიკოსი ალ. ორბელი-  
ანიც აღნიშნავს, რომ ის გახდა მიზეზი ქსნისა და არაგვის  
ერისთავთა დიდ შფოთისა და ქვეყნის ოხრებისა.

იშვიათის ისტატობით შესრულებულ ჩვენი ფარდის  
კარაგმის წარწერიდან სჩანს, რომ ეს ფარდა ქეთევანს  
«ტფილისის სიონთა ღვთისმშობლისათვის» ტრაპეზიელ  
გადასაფარებლად შეუწირავს. წარწერაზე სხვათა შორის  
ვკითხულობთ:

... «გიძლიერი მეცა ქვრივი, ვითა მწულილსა დედა ქსნის  
ერისთავის დაუითას ქეთავან, საოხად სულისა მისისა და  
ძეთა მისთა აღსაზრდელად...»

ცრონედ ამ მისი შვილის, დავითის ერისთავობის ხანა-

ში, დედოფალი ქეთევან დაულალავად იღწვოდა ურჩ ფე-  
ოდალების და კერძოდ, ქსნის დიდებულების შემომტკი-  
ცებისათვის უკვე გაერთიანებულ ქართლ-კახეთისათვის.

ამ პოლიტიკურ მუშაობასთან ქეთევანმა სააღმშენებლო  
და საკულტურო მუშაობაც გააცხოველა, რაიც, სხვათა  
შორის კორინთის და ლაზევისის ტაძრებისა და მონასტ-  
რების წარწერებიდანაც ირკვევა. (იხ. ამის შესახებ მარი  
ბროსსეს «არქეოლოგიური მოგზაურობანი...» ექვთ. თაყა-  
იშვილის «სბორნიკ მატერიალუმ...» კრებული ნომერი 44,  
მ. ჯანაშვილის ისტორია და კერძოდ — ისტორია ქსნის  
საერთოსთავოსი.)

როგორც ჩვენი ფარდის წარწერიდან სჩანს, დედოფალი  
ქეთევან 1773 წ. ე. ი. 30 წლის შემდეგ მისი ხორასნის  
ტყვეობიდან დაბრუნებისა, კადევ ცოცხალი ყოფილა და  
თვის სამეცენატო, საკულტურო მუშაობას განაგრძობდა.

დასასრულ გვინდა ამ «ფარდის» შესახებ ჩვენი, ე. ი.  
ჩემი და თამარ პაპავას «ანდერძი»-ც მოვიხსენიოთ, რო-  
გორც ამ ფარდის დღევანდელ პატრონთა.

იმ წყაროების მიხედვით, რაც მოვიპოვეთ, ჩვენ ორთავემ  
ამ საგანზე მასალები დავამუშავეთ და დასასტამბად გა-  
ვამზადეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი გამოქვეყნება სხვა  
და სხვა მიზეზთა გამო, ვერ მოხერხდა.

ზედმეტი არ იქნება მათი აქ მოხსენება.

ეს მასალები შეიცავენ: «ფარდის» მოპოების ვინაობას,  
მის აღწერას და ფოტოსურათებს. ჩემს ისტორიულ ნარ-  
კვეებს: «ქსნის საერთოსთავო და მისი უკანასკნელი ერის-  
თავები.» თამარ პაპავას ნარკვეებს: «საქართველოს ძველ  
ოჯახთა განძეულებიდან». (ქსნის ერისთავის ასულის  
მზითვების გამო). და ფარდის, თუ მისი წარწერის შესახებ  
ჩვენდამი მომართულ წერილებს პროფ. ექვთ. თაყაიშვი-  
ლისა და პროფ. მიხ. წერეთლისა.

ფარდის დღევანდელ პატრონთა, ე. ი. ჩემი და თამაზ  
პაპავას სურვილია — ამ მასალას («კრებულში», თუ  
ცალკე წიგნად) თან დაემთხვას ჩვენი ანდერძიც ამ განძის  
თბილქსში დაბრუნების შესახებ.

ჩვენ ვითხოვთ — ეს «ფარდა» არავითარ შემთხვევაში  
არ დაექარგოს თბილის, რომლისთვისაც ამ განძს დღემდე  
ვინახავდით...

ვინახავდით, რათა სამშობლოს ხილვის ბედნიერ დღეს  
იგი ჩვენი «1500-წლითგან დედაქალაქის» სიონისათვის, ან  
რომელიმე მისი მუზეუმისათვის მიგვერთმია.

ამ ფიქრებში გავიდენ მრავალი მღელვარე წლები... ბევ-  
რი რამ შეიცვალა; ოღონდ ის ჩვენი «აღთქმა» ურყევი-  
დაშთა.

და თუ ჩვენ ბედმა იღარ გვარგუნა თბილისის ნახეა, ამ  
ფარდამ მაინც იხილოს იგი და ჩვენი მდაბალი ერთგუ-  
ლება და სიყვარული აუწყოს...

ორთავეს სხვა არა გვინდა რა...



## «მოხუცი კვდება კარაგანდაში...»

(სამსონ ფირცხალავას ხსოვნას)

მოხუცი კვდება კარაგანდაში,  
 სწყურს ზიარების მას ერთი ცვარი,  
 ტყვილად სტეხა ხალხმა განგაში,  
 ვერ ჰპოვეს მღვდელი, ვერც წმიდა ჯვარი...

გამშრალი ქართული ლოცვებს ჩურჩულებს  
 და დედას უხმობს, დამჭვნარ ხელებით  
 მოსთხოვს ტკბილ წამალს... ის ხომ უყურებს:  
 როგორ ეხრჩობა შვილი ხველებით..

და ამ დროს ესმა დუღუნი მტკვარის,  
 ბართაშვილის სევდა დააწვა,  
 მთაწმიდას შუქი ეფრქვევა მთვარის...  
 უცებ შუბლს ხელი უინმემ დაადვა.

«შენია», ეტყვის, «ვიცან ეგ ხელი,  
 მოგიხმე, არჩილ, გაჩნდი ახლავე;  
 დახე, სად ვკვდები აქ თბილისელი,  
 შენ კი დიღუბეს დაგასაფლავე...

ჩუღურეთის და ვერის უბნებში  
 კრებებზე ხშირად ერთად ვიდოდით,  
 «შეფიცვის წიგნი» გვედო უბეში  
 და საქართველოს ცეცხლით ვიწოდით.

მამადავითზე წიმ ავდიოდით,  
 გზაში გახრჩობდა მძიმე ხველება,

ილიას «ქართლის ბედს» შევჩიოდით,  
გვედგა «აჩრდილი», ვით მოჩვენება...

სად არს, — ვინც მარად ოცნებად მდევდა,  
და მთლად აღმავსო სევდებით აღრე,  
ვისზეც ეს ფიქრი ღამეს ათევდა,  
ვისაც «მიყვარხარ» სიტყვით ვერ ვკადრე?

ჩემო თბილისო, მანდ ღამრჩა ყველა,  
მანდ ჩაგილაგე ჩუმად ჩანთაში;  
გთხოვ წათ დღეს უთხრა, რომ მახრჩბს ხველა,  
ეპვდები ქართველი კარაგანდაში...»

სთქვა და ნათელი დაადგა სახეს,  
ფართო შუბლზედა გაჰქინი ღარები,  
აშუქდენ თვალნი, თითქოს მათ ნახეს,  
რომ სანატრელი გახსნეს კარები...

«ქართლის ცხოვრების» გასულ წლებიდან  
ხედავს, გადმოჰქმებს ახალი ძალა,  
ლტოლვილ ქართველთა საფლავებიდან  
ლეგიონები წამოიშალა..».

ივლიან ერთად; მარტოდ არ არის,  
დაიძრენ გმირნი გარდასულ ხანის,  
ქართულ რჯულისთვის ბევრის ამტანის —  
ხორქასან, სტამბოლ, ფერეიდანის...

განთავისუფლდა სული იმისი,  
ქარაგანდაში ეხლა რომ კვდება;  
სხვა საქართველო, სულ სხვა თბილისი  
წამებულ შვილებს იქ დაუხვდება...



## .. ვაზის უვავისი აღმოცხვება..?

პარიზის ქართულ ეკლესიაში  
 შედის შავებში ქალი ხნიერი,  
 თუმცა დამჭერა სახე იმისი,  
 მაინც გამოკრთის ძველი იერი.  
 ხატს უნთებს სანთოლს, ვედრებს ღვთისმშობელს,  
 იყოს მისდამი გულისხმიერი  
 და დაიფაროს, როგორც წარსულში,  
 გამორჩეული მისგან ივერი.  
 ალაპყრობს თვალსა, ცრემლით რხეულსა  
 .. და მარიამის გვერდითა ხედავს  
 — საქმროს, თბილისში გამორჩეულსა,  
 რომლის სახელის თქმასაც ვერ ბედავს...

მას უცოცხლდება თებერვლის დარი,  
 კოჯორზე დაღვრილ სისხლისა ღვარი,  
 როს შეხსნეს თბილისს რკინისა კარი  
 და ქართლის ბედზე ატირეს მტკვარი.  
 როცა კოჯორიდან ჩამოუსვენეს  
 ჭაბუკ გმირებთან მისი ბიძინა,  
 და გაეხილის შუბლით უჩვენეს,  
 ვინც რაინდობით თავი იჩინა.

ტაძრის გალავანს ყველა ჩაუშვეს...  
 ძმათა საფვავი იქ გაიჭედა,  
 სამხედრო სკოლის დროშა დაუშვეს;  
 და აქვითინდა ქართველი დედა  
 სტიროდა ისიც თავდამხობილი,  
 ბიძინას ნობათს გულში იკრავდა,

სადაც ის სწერდა, რომ კმაყოფილი  
თბილისისათვის თავს შეწირავდა.

სწერდა: რომ ქვეყნის და მისს სიყვარულს  
აწი სიკვდილიც ვერ გაანელებს,  
რომ დღეს უმუღავნებს გრძნობას დაფარულს  
და მათვენ იწვდის ალერსით ხელებს.

«... თუ განშორდება — მხოლოდ დროებით:  
თბილისისათვის კვლავ გათენდება,  
დაფლულ გულიდან ისევ რტოებით  
კაზის ყვავალი აღმოცენდება...»  
აიგო ის დღე მძიმე ლოდებით,  
რავდენი ცრემლი მაშინ იდინა;  
სტოვებდა თბილის მწარე გოდებით,  
იქვე რჩებოდა მისი ბიძინა.



უცხო ქვეყნებში გადაან წლები...

მრავალი წლები...

იღლება ძვლები...

მოდის თბილისის უცხო ამბები:  
იქ სხვა ხალხია, სხვა თქმა, სხვა ხმები.  
დაღლილმა ერმა მოდრიკა ქედი,  
სჩანს — ჩაიძირა ქართლისა ბედი...  
უინ არის კვლავად მისი გამჭედი?  
გადატყდა ხრმალი, ჩაჰქრა იმედი.

მაგრამ წუხელის — რომ დაიძინა,  
სიზმრად მივიღა მასთან ბიძინა,  
უცქერს იმედით, ჩვეულ ღიმილით  
და გულს გაუხსნის ვაზის ყვავილით...  
მიხედა — რაც მოხდა, იყო დროებით,  
რომ «თბილისისათვის კვლავ გათენდება,  
დაფლულ გულიდან ისევ რტოებით

ვაზის ყვავილი აღმოცენდება...»  
 და დღეს, თებერვლის მძიმე ავღარში  
 ღელვით, ცახცახით გამოდის კარში;  
 მირბის, მუხლს იყრის ქართულ საყდარში  
 ხატს უმხელს, რაც მან ნახა სიზმარში.  
 გაახელს თვალებს, უცქერს ღვთისმშობელს,  
 გაუწვდის ხელებს,  
 ცემლებით სოველს,  
 კვლავ ეტყვის ყოველს —  
 წყალობის მთველს.

და უცებ ხედავს — ღვთისმშობლის გვერდით,  
 სდგას წმიდანებში საქმარო მისი,  
 მას აღმოსვლია ვაზის რტო მკერდით,  
 ეტყვის იმედით: «ცოცხლობს თბილისი».  
 და გულწასული ბუტბუტებს ქალი;  
 უსმენს სინანულს აქ ღვთისმშობელი;  
 რომ მას დაენთო კვლავ რწმენის ალი,  
 ღვივის, ვით ცეცხლი ჩაუქრობელი:  
 «რომ განშორება არის დროებით  
 და თბილისისთვის კვლავ გათენდება —  
 დაფლულ გულიდან ნორჩი რტოებით  
 ვაზის ყვავილი აღმოცენდება...»



«მახსოვრო თბილისში ოჩვენი მიწვი...»

«ცოდვამ მოგვიცვა ნათელსა, გარს მოეხვია ბნელია,  
 ხელში ნაჭერი კეთილი შეგვექმნა საძებნელია...»

დ. გურამიშვილი

ჩემი ოთახის გააღე კარი,  
 მოდი, დაფანტე ოქროს სხივები,  
 «რა და როს ძილია», ტკბილად მითხარი,  
 «როს ზეიმობენ ქალაქში სხვები.  
 ოცდაექვს მაისს ელოდა ყველა,  
 რომ დიდ ლხინისთვის გაეხსნათ გული;  
 შენც ააფრინე მუზის პეპელა,  
 გვიმხილე ლექსი გადარაზული...»  
 გადმომაყარე იის კონები  
 და ტალღად გაჰქრი, როგორც მოვარდი;  
 დამტოვე მწარედ დანაღონები,  
 რომ ვერ გითხარი რარიგ მიყვარდი.

დამრჩა ოთახში სუნი იების —  
 ოცდა ექვს მაისს შენ რომ მაჩუქე,  
 გამოგადევნე გროვა ფაქრების,  
 ჩემს გულში ლექსად რომ ჩამაშუქე....

იმ დღეს ზეიმზე შენ ისევ გნახე,  
 კრძალვით გადევნე შორიდან თვალი,  
 ელავდა, ვით მზე, ეგ შენი სახე  
 და სიყვარულით იყო დამთვრალი.

ხალხმა დაანთო გულში ლაშპარი,  
 ილხენს ამქარი ზურნით, დროშებით;  
 თითქოს თბილისში დიდი თაშარი  
 დაბრძანდებოდეს ოქროს ქოშებით...  
 ისმის გუგუნი ყელა ზარების,  
 არის აღლუმი ქართულ ჯარების,  
 ხალხი ზეიმობს, ქუჩები ღელავს  
 და სასახლის წინ თვალები ელავს...  
 რა ხალიჩები, რა ყვავილები?  
 რა ქალცვაუია, ან რა წყვილები?  
 ყველა სიმღერით ვფიქტობთ ამაზე:  
 სად იყო წინად ეს სილამაზე? .  
 მწყურდა მადლობა მეთქვა იმ დღისთვის  
 შენ რომ მაჩვენე ქართულ ოჯახში;  
 თან მსურს ვემთხვიო მაგ ხელს იმისთვის,  
 რომ დამიტანტა ია ოთახში...

სამის წლის შემდეგ ისევ მეწვე,  
 როს თებერვალის ყინვამ დამზარა,  
 როს გავიხადვ სკელა მაზარა  
 და თბილ საბანში გამოვეხვიე.  
 კვლავ შემოაღე ოთახის კარი,  
 ვნახე — გდიოდა ცრემლების ღვარი...  
 «დღეს თბილისს ვსტოვებთ!» შიშით მითხარი  
 და გადამსახე თრთოლვით პირვევარი.  
 ლაწვებზე გაჯდა თოვლის ფიფქები  
 და ცხვირსახოცი ცრემლით გაგევსო,  
 გწვევდა თბილისზე მწარე ფიქრები,  
 სტიროდი: ჯარი ბრძოლას აგებსო.  
 გავშრი, ვერ ვპოვე ნუგეშის სიტყვა  
 ხმაც ვერ გაგეცი, ისე წახველი,  
 დაეცა ჩემს თავს მეხი და სეტყვა,  
 და დაეუფლა ოთახს ნაღველი.

ვიწოდი, ქვეყნის ისე მრცხვენოდა...  
 გადავისროლე უცებ საბანი,  
 ვნახე — ჩემს სკამზე რომ დაგრჩენოდა  
 შენ ცხვირსახოცი, ცრემლით ნაბანი.  
 «ვახდა კვიმატი ჩვენთვის ეს დარი!»  
 ვსთქვი და ცივ კედელს მივაპყარ თვალი,  
 რა რისხვით მიმხელს ეს კალენდარი:  
 «ოცდაოთხია დღეს თებერვალი.»

მახსოვეს, თბილისში ორჯერ მეწვიე:  
 მაისში იის ეშხით დამათვრე,  
 ბოლოს სუდარიდ შემომეხვიე,  
 და თებერვალში ცრემლით დამახრჩვე...

მას აქეთ დამაქვეს შენი ნობათი:  
 ხელსახოცი და მჭკნარი იები;  
 ბედმა დათალხა ჩემი მყობადი,  
 დავკარგე: წლების ყველა სიები...



## აგვისტოს ღამეები,

(ოთხ სურათად).

«რად მრისხანებ, ჩემის ბედის ვარსკვლავო?»

ნ. ბარათაშვილი

«... დაიგვიანეს, ჯერ არსად მჩანან...»

აკაკი

პ.

ღამდება... ცაზე  
 ლურჯი მხედარი  
 ყურს უგდებს: რაზე  
 ბუტბუტებს მტკვარი.  
 გაღმოიშლება  
 ვარსკვლავთ ზეწარი,  
 ჩამოიღვრება  
 ვერცხლისა ცვარი;  
 და თბილისს ასდის სუნი, ვით კვარი...  
 რა მოვარიანი ღამეა ამ დროს,  
 რა თვალიანი ზეცაა ახლოს!  
 დიდი ვარსკვლავი მოსჩანს იმედის,  
 ხვალ აჯანყებულ თბილისის ბედის...

ჰოი თბილისო, რა ზრახვებს ჰფარავ  
 ბანაკად შენში მალულ ჯარების...  
 ხვალ, ან ზეგ შენს მტრებს რისხვით შეზარავ,

— დადგება ტბების სისხლის ღვარების;  
 ტკივილი, დევნა... რაც გაღიტანე,  
 დაგიამდება ერთბაშად ჭველა;  
 და გრძელ ცხოვრების მემატიანე  
 ჩასწერს, რომ ბედმა ეხლაც გიშველა...

მუხრანის ხიდთან სდგას ჯეირანა,  
 ფიქრობს — ხვდა მძიმე დღეს გასაჭირი,  
 ვახ, თუ მან მართლა დაიგვიანა,  
 — აცდა ქაქუცას რაზმის კავშირი...  
 უბეშა, გულთან — შიშით რომ არ სცემს —  
 მას საიდუმლო უდევს «ბრძანება»,  
 თუ ეს ნობათი ხელში ხვდა გამცემს,  
 თბილისი უბსკრულს დაექანება...

ჯეირან ქალის იდუმალ ზრახვებს  
 მტკვარი დუდუნით ტალღებში ახვევს,  
 ქალაქს დაუვლის, ქარაგმით ეტყვის:  
 — «არ შეეშინოს ტყვიების სეტყვის..  
 ბევრჯერ უნახავს მის ძველ გალავანს  
 აჯანყებულთა დროშის ფრიალი,  
 ეხლაც ელოდეს — ახალ ფალავანს  
 თუშ-ფშავ-ხევსურთა მოაქვს გრიალი,  
 და მოედება ქართლისა აკვანს  
 თავისუფლება, როგორც გრიგალი...  
 — დღეს, თუ ხვალ, ან ზევ — ეს არვინ იცის,  
 ამ საიდუმლოს ჰფლობს ჯეირანა;  
 თუ როდის მოვა რაზმი მანგლისის,  
 იხსნას თბილისი და ეს ქვეყანა.»

სდგას მოუთმენლად შიკრიფი ქალი,  
 თვალს არ აშორებს მუხრანის ხიდეს;  
 ნეტა იცოდეს მანაც მართალი,

შეთქმის მთავრებმა რა გადასწყვიტეს?..  
 ამის ნობათი უდევს უბეში,  
 უცდის ბელადის კავშირის ნიშანს,  
 შემდეგ დაუვლის რაზმებს უბნებში  
 და გუშაგთ სარდლის ცნობებს მიუტანი.

სდგას, ნიშანს ელის... მაგრამ ეს ხელი...  
 როგორ მოერტყა უეცრებ გარსი?  
 მოსჩქეფს მკერდიდან სისხლი, სულ ცხელი,  
 მიაქვს კივალი ხიდის ქვეშ მტკვარისა...  
 ნობათს ხელს უსობს, კვნესით აღიტო,  
 თვალს უბნელდება, ეშვება მკლავები...  
 ამჩნევს — დაეცა, კვდება აგვისტო,  
 ხედავს, რომ მოსწყდა ცაზე ვარსკვლავი... .

ვინ, ამ წყნარ და თეთრ აგვისტოს დარშია  
 რა იმედები ჩაეშვა მტკვარში!..

### 3.

აგვისტოს ღამეს მანგლისის ტყეში  
 ქაიხოსროს წინ შეყრილი ჯარი,  
 უცდის თბილისი მათ ორ-სიმ დღეში,  
 აუსხამს ყველას ხმალი და ფარი.  
 შეფიცულები დგანან დროშასთან,  
 აქ ლესენ მტრებზე ქართულ მახვილსა,  
 და ერთხელ კიდევ ფრცს დებენ მასთან:  
 — «არ წაარცხვენენ ჩოლოყაშვილა...»

მაგრამ ჯერ არ სჩანს შიკრივის ცნობა,  
 გამოგზავნილი ერთგულ ხელითა,  
 უცდის ბელადი, გრძელდება ბჭობა.

და ღელავს რაზმი საჭურველითა.  
 დგანან ცხენები თავჩაკიდულნი,  
 მაგრამ მხედრები ჯერ არ იძრიან,  
 უცდიან ბელადს გულჩაკირულნი,  
 შურისძიების ცეცხლსა ისვრიან...

და ამ დროს სწყდება ვარსკვლავი ცაზე,  
 მას თვალს აყოლებს ჩოლოყაშვილი,  
 — «ცუდი ნიშანი!» იტყვის ამაზე,  
 აწევბა გულზე ჭმუნვა აშლილი...  
 «დაიგვიანეს! ჯერ არსად სჩანან!..»  
 აწვალებს ბელადს თბილისზე ფიქრი,  
 შეფიცულები ჩაფხუტით დგანან,  
 მათი ოცნება ბრძოლისთვის მიჰქრის.

აგვასტოს მოსწყდა დიდი ვარსკვლავი,  
 დაიხშო მძიმედ თბილისის კარი,  
 შოდის ამბები გულის საკლავი:  
 «მოჰკლეს ჯეირან, გაფუჭდა ჯარი!...»

### 8.

აგვისტოს ღამით ყოველ წელშია  
 მუხრანის ხილთან სდგას ჯეირანა,  
 «ბრძანებას» იჭერს გულთან ხელშია,  
 ამ აღთქმულ ნობათს უცდის ქვეყანა...  
 მაგრამ შიკრიკი ჯერ არსად სჩანა,  
 ახ, ნეტა რატომ დაიგვიანა?  
 სწყდება ვარსკვლავი, გულს სერავს დანა...  
 მტკვარში ეშვება კვლავ ჯეირანა...


მუდამ წელს, როცა აგვისტოს ღამით  
 ხსნის ქართულ საფლავს ლოვილის ქარი,  
 ისმის ლტოლვილთა ქუხილი წამით  
 და წამოდგება შეთქმულთა ჯარი ასე იყოს!»  
 ამდენი ხანი ცივ სამარეში  
 რა გააჩერებს, აბა, ქართველსა?  
 არ დგება გული უცხო მხარეში,  
 ედება უანგი მათ საჭურველსა.

თეთრი გიორგი რაშს დააქროლებს,  
 ქართულ სამარხზე ქვებსა გაარღვევს.  
 აგვისტოს ვარსკვლავს თვალს გააყოლებს,  
 თბილისის ალამს სულ მაღლა არჩევს ..

მოჰყავთ ქაქუცა სანტუენიდან,  
 სოხოვენ: ამ ღამით ეკვეთონ მტერსა,  
 იხსნან თბილისი სისხლა, დენიდან,  
 და კვლავ ანახვონ აღდგომა ერსა...  
 შეჯდება ცხენზე ჩოლოყაშვილი,  
 ხელს იდებს ხმალზე, გაჰყურებს ცასა;  
 ქართული დროშა არის გაშლილი,  
 უცდის შიკრიკის დიად ცნობასა.  
 შეფიცულებთან თავსა იყრიან  
 ყველა, ვისც მართებს აგვისტოს ვალი.  
 ერეკლეს ხმალზე ფიცსა იტყვიან  
 და შიკრიკისკენ უჭირავთ თვალი.  
 ქალი და კაცი, დიდი — პატარა,  
 სასაფლაოზე მწყობრიადა დგანან,  
 უმხელენ ცრემლით ურთი-ერთს წყნარა:  
 «დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან!»  
 გადის საათი ფიქრის, ლოდინის,  
 ვაჟა-ბელადი ვარსკვლავს უცქერის,

აწვება სევდა მძიმე ლოდივით,  
მაგრამ სდგას, უცდის... ბედს არ უკარის.

... და უცებ ცაზე შეყდება ვარსკვლავი,  
«შიკრიკი მოჰკლეს!» მოდის ამბავი;  
ლოვილის რაზმმა ჩატკიდა თავი:  
კვლავ იძირება თბილისის ნაკი...  
საფლავის ქვები აგვისტო ღამეს  
ისევ ირწყება ცრემლთა დენითა,  
ბელადი ნუგეშს არ იტყვის რამეს,  
ჩადის საულავში ერთგულ ცხენოთა...



## «გეორგე მოწვევისათანა»

## ფიქრები თბილისზე და მის მწერლობაზე

1. «შენ გესვიდეს მამან, ჩვენი, ჯესზიდვს შენ,  
და იხსენ იგინა »
5. «შენდამი ჰლალადებდეს, და ჰსცონდეს, შენ  
გესვიდეს, და არა ჰსცენა.»
11. «ლმერთი ჩემი ხარი შენ, ნუ განმეშორები  
ჩემგან, რამეთუ ჭირი მახს მე, და  
არსებინ არს მწე ჩეცდა.»

(ფალი. დაწისა, 21).

ქართველი ერის უძველესი ძეგლები და მისი მყარი მატიანე, თბილისი, 1500 წლის გამხდარა; ნამდვილად კი მისი ხნოვანება უფრო გრძელია და ბოლო დროის ორეოლოგიური მონაცემების მიხედვით, შეიძლება — ერთ ანდენს კიდევ იტევდეს.

თვით ქართული მატიანეც თბილის ხომ გორგასალშე აღრე იხსენიებს, როცა მოგვიახრობს. რომ ვარაზ-ბაკურიას დროს სპარსთა შაპის პატახში «მოვიდა ტფილისად ქალაქიდ ციხესა» და იგი თავის რეზიდენციად აირჩიაო.

აშკარაა, თბილისი იმ დროს შესამჩნევი ყოფილა თვისი ადმინისტრატიული, სამეურმეო და სამხედრო-სტრატეგიულის შნიშვნელობით. ხლოლო ვახტანგ გორგასალი, რომელი ვარაზ-ბაკურის მეექვე თაობის შთამომავალი იყო, «აშენებდა ქალაქსა ტფილისა», რომელსა კიდევ მეტად «განა-

მშვენებლა» ძე მისი ოაჩი. (იხ. აკადემ. ს. ჯანაშიას შრომა  
თბილისზე.)

თბილისად წოდებული დასახლებული ადგილი (სოფელი)  
«ქართ. ცხოვ.» მოწმობით ფარნაოზის (გარდაც. 237 წ. ქრ.  
წ.) და მცხეთოსის დროსაც ყოფილა ცნობილი. (იხ. «ქართ.  
ცხოვრ.», გვ. 20, 31.).

ისტ. ს. კაკაბაძეს დღეს საკმაოდ გამორკვეულად მიაჩნია,  
რომ «მეტამე ათასეულიდან ჩვენ ერამდის (როდესაც ხდება  
ნეოლითიდან ბრინჯაოს ხანაში გადასვლა) ადამიანის ჯგუ  
ფები უკვე ცხოვრობდენ თბილისის მიდამოში და, მაშასა-  
დამე, თვითონ თბილისშიც. (იხ. ს. კაკაბაძის: «თბილისი მე-5  
საუკ. მეორე ნახევარში»).

ამრიგად, 1500 წ. დღეს მხოლოდ პირობითი დატაა და  
შესაძლოა — ეს ჩვენი ქალაქი, მაშინ საქართველოს დედათ  
რომ იქცა, თავის უფრო ძველ ანალებს დღესაც მიწის ქვეშ  
ინახავდეს.

ჩვენ გვჯერა, რომ ის ინტენსიური მუშაობა, რომელსაც  
ჩვენი მეცნიერები ეწევიან, მის წიაღს უფრო გადაშლის და  
მეცნ განსაცვიფრებელს გამოავლენს, რაც ჩვენ ეროვნულ  
რაობას უფრო უძველესს ფესვებს დაუკავშირებს.

მაგრამ თვით ის ათას ხუთასი წლის გზა, რაც ჩვენს დედა-  
ქალაქს სახელოვანი ბრძოლებით გაუვლია, განა დიდი და  
ნათელი არაა?..

თბილისზე ფიქრი ჩვენში მრავალგვარი განცდებს იწვევს.  
ის ცოცხალი მეტყველია საქართველოს მდიდარი, ხშირად  
სისხლიანი და მძიმე, მაგრამ არა ნაკლებ ყვავილოვან და სა-  
ამაყო წარსულის.

რამდენ რამეს მოწამეა ის ძველთაგან — ქართულ რაობის  
გამოჭედის ხანიდან...მაშინ ის საქართველოს თუმცა არ თა-  
ვობდა, მაგრამ ამისათვის გზებს იყაფავდა. ათას ხუთასი წლის  
მანძილზე ხომ უდავოდ მას სჭერის დროშა ჩვენი ქვეყნის

ერთობისა და გამძლოლის... და ეს გვავალებს, რომ მის წესები მუხლები მოვიყაროთ.

ეს მთავარი განცდა, რომლის ირგვლივ ჩრდებიან და სხი ვოსნობენ სხვა მრავალნი. ისინიც თბილისის ძირებს უკავ-შირდებიან; ეს ზრდა ჩვენს ეროვნულ ინდივიდუალობას იმ შინაარსს აძლევდა, რითაც ქართული სული გამოირჩევა და ამაყობს. ეს ის განძია, რაც დღეს «მაღალი კულტურის» სახელს ატარებს ღრმა ათვისებით და გაგებით. ამ მაღალ ზნეობითი თვისებებს «რაინდობა»-ს ეტყოდენ და ამით სავსეა არა მხოლოდ ჩვენი კლასიკური პოეზიის შედევრები, რომელთაც წინ «ვეფხის ტყაოსანი» მიუძღვის, არამედ ქართული ისტორიული ქრონიკები.

ყველა ეს მაღალი და კეთილშობილი თვისებები აგვიცრა და გვასწავლა უმთავრესად ჩვენმა დედაქალაქმა, ჩვენმა თბილისმა, რომელმაც გაუძლო ბედის ამდენ ტრიალს, ხოლო თვით დაშთა გაუტეხელი, ამტანი და გამტანი.

და მერე — რამდენჯერ დაეუფლა მას მტერი, ააწიოკა, ააოხრა და გააუკაცრიელა? რა ღრმად და მძიმედ იქმნა ის დაკოდილი და ჩაჩიქებული: ეს მომხვდურნი ხან იყვნენ სპარსი, რომლებმაც ის მაზრანის რეზიდენციად აქციეს, ხან ბიზანტიელნი და ხაზარები, ხან არაბები, რომლებმაც ის საამიროს ცენტრად გახადეს...

თბილისის საბოლოო შეერთება საქართველოსთან დავით აღმაშენებელის ძლიერი ხელის ქვეშ ხდება 1122 წლიდან, როცა მან მტერი სასტიკად დაამარცხა... აქედან დაიწყო თბილისის ნამდვილი აყვავება, რაც 1226 წლამდე გაგრძელდა. ამ საბედისწერო წელს კი ქალაქში შეიჭრა, ის საშინალად გაანალებული და გაძარცვა მონალოლთაგან ლტოლვილმა ხვარაზმულმა ჯალალუდინმა; მალე მათი ბატონობა შესცვალა ქვეყნის დამპყრობმა ძალამ მონალოლებისამ, რომლის უღელ ქვეშ მთელი საუკუნე დროვინავდა თბილისი; ამას მოსდევს ულმობელ თემურ ლენგის რვაჯერ შემოსევა; შემ-

დევ მე 15—17 სს. ქალაქს აოხრებენ, ულეტენ და ძარცვავენ თურქმანები, სპარსელები და ოსმალნი...

მაგრამ ამ გრძელმა, სისხლიანმა პერიოდმა საქართველოს გული ვერ შეუნგრია, თბილისი თბილისად დარჩა; მან საქართველოს მეთაურობა არ დასთმო, ჩვენი ერი ამ უმძიმეს ხანაში უწინამძღვლოდ არ დააგდო... ამ საშინელ პედიოდებიდან ზოგთა სულმოკლეობა, დაღლა, განდგომა, მტრის რჯულზე გარდასვლა და კიდევ ბევრი უარესიც თბილისმა დაივიწყა, სულგრძელად შეუნდო.

ეს «ამბები», ეხლა სხვა მხრიდან მოწოდილი, დღესაც გრძელდება, მაგრამ თბილისის გამტანობა ულევია და უძირო: მან ბევრი გვაპატია, კვლავ შეგვიხიზნა, აღგვამალა და «ქართლის ცსოვრების» ლირის გაგვხადა...

ბარაქალა მის ასეთ მაღალშეწყალებას! მის მუდმივ მხნეობას, მის ულეველ სულგრძელობას და გაუტეხელ რწმენას!

ეს უცნაური თვისება გამძლეობისა, ეს პოტენციალური, გადანახული შესაძლებლობა ატანისა, ჩვენი დედაქალაქის და მთელი საქართველოს ხალხისთვის ჭარბად აცრილი რომ იყო, ასე მეტყველად გაღმოუცია ქართველთა ისტორიკოსს, პლატონს:

«ქართველი ერი ძველი და მრავალთა ჭირთა და შეიწროებათა მნახველი, აღვილად მიიღებდა მწუხარებასა და აღვილად განიკურნებდა თავსა, ვითარცა ჭირნახადი. განვლილი ცეცხლსა, ვითარცა ბრძმედსა შინა, ოქრო იყო ნათლად და წმიდად საჩვენებელი... ჩინგიზი და თემურლანგი უქცევდენ ქართველთა მფობასა და ქართველნი კვლავ განახლდებოდენ. მიძინებული მტერთა და უცხო ნათესავთა ზედა დასმისაგან, კვლავ განიღვიძებდენ. პოლიტიკა შაპ-აბაზისა ამოფხვრისათვის ქრისტიანობისა ქართველთა შორის... დაშთა უნაყოფოთ. ხმალი ქართველთა ტრიალებდა ავლანისტანისა მთებზედ, ვაჟკაცობა მათი და გმირობა განაკვირვებდა სპარსთა და ყაენთა. ყანდაარი და ხორასანი ერიდე-

პოდა მათ, -ვითარცა კავკასიისა გმირთა... თურქნი, მეზობელი და მოკრულნი ქართველთა, იშიშებდენ შემოსვლასა შინა ქართლსა და კახეთსა შეუვალსა.

ქართველთა ესრედ მრავალ საუკუნოებითა გამოცდილთა და ცეცხლში, ვითარცა პური გამომცხვართა, ვერ ერეოდა ვერც შინაგანი, ვერც გარეგანი მწუხარება. გაღელებული თავისუფლებითა და განლალებული მთებითა, ეცინოდა ბედსაცა და უბედობასაცა.

ქართველთა გამოსწოვეს ტვინი სპარსთა, შესჭამეს იმპერია რომისა, ვითარცა იტყვის პლინიოს, შესჭამეს ბიზანტია და თვით დაშთა შეუჭმელად მათთვის, რომელნიცა ჰვოდებდენ მათსა შეჭმასა... მახესა დაგებულსა მტერთაგან, თვით მტერნი გაებენ. საბრეე შეიმუშსრა და ჩვენ განვერენით... ესრეთი არს თვისება და ხასიათი ქართველთა ნათესასა, ძველისა კაცთა ნათესავთა შორის...» (იხ. პლ. იოსელიანის — «ცხოვრ. მეფისა გომირვი მეცამეტისა.» გვ. 220.)

ეს თითქმის ერთ ნახევარ საუკუნის წინ ნათქვამი დღესაც მჭევრად მეტყველებს.

რაც საქართველოზე თქმულა, ის თბილის ეხება, მას თბილისი იტევს. «ქართლ. ცხოვრ.» მეტნაკლებად ხომ თბილისის ცხოვრებად რჩება, მასთან სუნთქვავს. ჩვენც გვესმის ეს სუნთქვა, მისი გულის ძეერა, თუმცა ზედმა ასე უწყალოდ მოგვგლიჯა მას; და ჩვენ ვიცით, რომ მასაც ესმის ჩვენი გულის ღელვა და ჩვენს ფიქრებს და ზრახვებს სიყვარულით უვლის.

დღეს ის რკინის სალტებით არის მორტყმული, ჯავშნებში ჩამჯდარი... «ზაჰესის» ძალუმი ჩირალდნები ვერ ათბობენ მის ჩათხრობილ გულს, ვერც მოედანზე აღმართული დამპყრობელთა ძეგლი აშინებს მრავალ «ცეცხლში განვლილს.»

მას კარგად ესმის — რად სდუმს მისი ვაჟა, რომელსაც ეს ახალი, ათსართულიანი ნაგებობანი, ცივ, მაღალ სარქოფავებად ეჩვენება.

ვაჟა თბილის შესკენერის, თბილისი კიდევ მას და ორთავეს კარგად ესმისთ ურთიერთის: «რა ხელს ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული...» და ვაჟას წარმოუდგება ძეველი და თავისუფალი თბილისი, რომელზე ჯერ კიდევ ვახუშტი მეცნიერა იტყოდა: «პავითა არს მშვენიერი და მხიარული, ერნი მშვენიერნი და მშვიდნი, ქალნი ფრიად კეკლუცნი. გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენა მრავალნი, ყოვლის ხილითა და ყვაფილითა სავსე...» (იხ. ბატონიშვილი ვახუშტის «გეოგრაფია.»)

აგონდება ვაჟას ძეველი თაობა, თვალ წინ გაუვლის თბილისი ვორონცოვისა და ბარიატინსკის და შემდეგ სხვა «ნამესტნიკებისა», საქართველოს გულს, მის დედაქალაქს რუსული ელფერი რომ მისცენ და ქართული და ქართველობა გარეუბნებში რომ გახიზნეს გაძარცული და დამდაბლებული... აგონდება აქვე ახალი ყლორტების ამოყრა: აკაკის «ნალარა», ილიას «ივერიის» შტაბი, «ცნობის ფურცელი» და «ნაკადული»... და ვაჟას ბევრი რამ აკვირვებს და სტკივა გული, რომ ამ ახალს, დიდ ნაგებობებში ქართული მჩქეფარე და ლალი სული არ მეტყველებს... ის სწუხს და იტანჯება, რომ ქართული შემოქმედი გენია ბორკილდებულა და სდუმს, ხოლო ზოგნი, მისი სახელით და სამოსელით, დამპყრობელთ ხოტბას ასხამენ და ამას თბილისის ხმად და თქმად ასაღებენ... აი, რა სტკივა დღეს იღუმალ ზრახვათა ამომკითხავს, ვაჟა-მინდიას.

მაგრამ საიდუმლოებათა გამხსნელ ვაჟასაც ხომ ბევრი რამ არ მოსწრებია, არ უნახავს.

ჩვენმა თაობამ კი სამი მოქცევა ნახა ჩვენი დედაქალაქისა: მასთან განვლო, განიცადა... ჩვენ ვნახეთ და გვახსოვს გოდება «ნამესტნიკობის» თბილისისა; უხეში, კოლონიალური შემოტევით ქართველობაზე, მაგრამ იმ ბნელ დროშიც თბილისი თავდადებულ მამულიშვილებს თავს უყრიდა; ესენი დასტრიალებდენ ქართულ ეროვნულ კერებდენ მის

პოტენციალ ძალებს, აღვივებდენ ბრძოლის ცეცხლს და გზა, ამ ეროვნულმა ენერგიამ შვა ჩვენი თავისუფლება: ოცნებულის ცეცხლის დროს საქართველოს სადარაჯოზე განახლების ზარებმა ჩამოჰკრეს!

და ჩვენ ვნახეთ თბილისის «მეორე მოქცევა»: მკვდრეთით აღმდგა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო; თბილისმა ზეიმით გახსნა 26 მაისის კარები.

117 წლის მონაბის შემდეგ ილიას ნატელა ასრულდა: — «ხალხთ ბორკილის ხმა მტერევისა ჩვენს მამულშიც» გავიგონეთ! და ყოველივე ეს «შვენოდა» ჩვენს დედას, ჩვენს «ქალაქები...» ჩვენს მიწა-წყალზე გაიშალა მჩქეფარე რენესანსი ქართულ რაობისა, მისი სულიერი კულტურასა და ამას იმგვარის ლირსებით და ტრიუმფით უძლოდა წინ, შვიდი მნათობით გასხივოსნებული თბილისი, რომ მისი სახე საუკუნოდ იღაბეჭდა «ქართლის ცხოვრებ»-ის ნათელ ქორნიებში. გაიხსნა გარდანახულ სიყვარულის და მარაგის საჭურჭლეები და მან უხვად გვაპკურა მადლი ჩვენთვის ჯერ არ ნახულ სიბრძნისა და მშვენიერებისა: გავიხსნა ქართულ მეცნიერების უმაღლესი ტაძარი, «გახსნა და აამეტყველა» ძველი, სიმბოლოები და ქარაგმები — შენილბული თქმანი: ქართულ ხელოვნების, მწერლობის, მუსიკის, ოპერის, მხატვრობა-ქანდაკების, ხუროთმოძღვრების...

ყველგან და ყველაფერში გაიშალა დევნილი ქართული სული, ენა და სახე; ყოველი ეროვნული სტიქიურად გამოყლინდა; გაიშალა მისი ჰუმანიური სოციალ-ეკონომიკური ქმედობა. ჩვენი მდიდარი ყანა სიმწიფეში შევიდა; მიწამ წაღალი გახსნა და ქართული ბარაქა აკურთხა; შრომის შვილი გაიმართა. ქართულმა სახელოვანმა ეკლესიამ თბილისის სიონში თავისუფლების ზარები დააგუგუნა. ჩვენი მხედრები ქართულ ჯარის რიგებში ამაყად ჩადგენ და «ქართველო, ხელი ხმალს იკარ» დასძახეს...

ამქრებმა დროშები გაშალეს და დავიწყებული ადათები გააცოცხლეს; ლალობდა მკვდრეთით აღმდგარი ქართული

ოჯახი, იხარებდა «ქართლის დედა...» «ღიდების» გუგუნიშვილის თვის თბილისი. იგი იღწენდა. ეს იყო თბილისის «მეორე მოქცევა» ჩვენი თაობის ხანაში. აქ ის უცვლელ ბელსდად ჩებოდა, ვით იყო წინად: გამტანი მუხლის პატრონი; მაგრამ ჩვენ მას, ამ განძს კარგად ვერ ვიცნობდით, ვერ ვხედავდით; ხანისხან განვუდგებოდით და ვზრახავდით კიდეც.

მაგრამ მან ეს ცოდვები, ჩვენი თაობის «განხრანი» ჩვეულ კეთილშობილებით დაივიწყა, გვაპატია და შეგვითვისა.

და ამ ზეიმურ ქმედობის შემდეგ მოხდა ჩვენთვის საბუღისწერო «მესამე მოქცევა».

ჩვენს მზიურ თბილისს ღრუბლები გადაეფარა; ჩრდილოეთის სასტიკმა სუსხმა დაბერა, თავისუფლება ერთსა წარგეტაცა და საქართველო შავის ძაძებით შემოსა! ჩვენ ვნახეთ ამ «მოქცევის» დროს რა დიდის ცეცხლით იწოდა თბილისი. ზოგი ჩვენგანი უერაგმა მტერმა თბილისის მკერდის მოგვგლიჯა და შორს გადმოგვტყორცნა... თავისუფალი ქართული სულის, სიტყვის, დროშის და ნამუსის შესანახავად.

აი, იმ ნეტარ «მეორე მოქცევის» ქართველის სახელი გინდა სპეტაკად შევინახოთ. ვიცით ჩვენი ტვირთი მძიმეა, მაგრამ საპატიო.

ჩვენს თავს გმირებად არ ჰსთვლით, მაგრამ 26 მაისის ჩვეული ჯარისკაცობაც ბედნიერებით გვავსებს: ვიცით, რომ ეს ჯარისკაცობა დაგვაუალა თბილისმა მისი საბედისწერო «მესამე მოქცევის» შემდეგ.

ბედნიერ წლების მომსწრეთ ბევრ რასმეს დავიწყება არ ძალგვიძის... გვახსოვს, 26 მაისის ჩვენმა თაობამ, მისმა მწერლობამ რაგვარის სილალით გაშალა ფრთები და გამარჯვებული დაეუფლა პარნასს, საიდანაც თავისუფალ ქართულ სიტყვას აფრქვევდა, მისი ტალღების დენა მხოლოდ ესტეტიურ კალაპოტით მითამაშებდა; ეს სიტყვა იყო ერთს თუ ისუფლების და მისი სიყვარულის აპოლოვია.

ეს იყო იმ ბედნიერ «მეორე მოქცევის» ხანაში და ჩევე ვიცით, რომ ამ სიყვარულით ერთხელ ანთებული გული არც ჰქონება და არც იცვლება.

და აი, ამ გულიდან წარმოდენილი მოგონება, ღალადი, განცდები და სიტყვა გვინდა დღეს დატყვევებულ თბილის ვკადროთ. იცოდეს მან, რომ მის მიერ ჩანათესლი 26 მაისის მადლი არ სჭინება: და თავისუფალი ქართული მწერობა მას არ გადასდგომია. გვინდა ჩევნი მადლობა და მასში ნახვევი ზრახუანი და იმედი «მეოთხე მოქცევისათვის» შეუნიბრავად და გულწრფელად მას შევკადროთ.

კარგად გვესმის — სუსტია ჩევნი ძალები: ხელოვნების და პოეზიის დიდი ოსტატები იქ დარჩენ, — «მესამე მოქცევის» სახითათო რკალში მოჰყვნენ. ამიტომ ჩევნი ხმა სუსტია, ძალიან სუსტი, მაგრამ იგი თავისუფალია და ამიტომ მართალი.

ფორმით და კომპოზიციით ჩევნი სიტყვა შესაძლოა ღრიბი იყოს, მაგრამ, ვიმეორებთ: იგი საღაა, უშუალო და გულწრფელი და, მაშასადამე, მართალი. ჩევნ გჯერა, თბილისი გუმანით ხვდება ამ ხმებს და იგი არ უგულვებელყოფს მას. «მესამე მოქცევაში» მოყოლილი ჩევნი მეგობრები ამ მართალ სიტყვის თქმას გაურბიან, ვერ ბედავენ... ისანი ბორკილდებულნი მოჰყავთ და უბრძანებენ: «სთქვას და გააფორმოს, გაშალოს სიტყვით, მუსიკით და რითმით «სიყვარული,» «აღფრთვანება და თაყვანის ცემა» მისდამი, ვინც თბილისში 25 თებერვალს წითელ ტანკებით რკინის კარები შელეწა და მისი ხალხი «26 მაისის ტყვეობიდან იხსნა»...

ეს დამყრობი, უცხო ძალა ჩევნმა ხელოვანმა საქართველოს მესიად უნდა აღიაროს და 25 თებერვალი ოდებით შეამკოს, შეთხას პანეგირიკები პარტიის რეზოლუციებზე... და თბილისიც ამ სურათით «განლალებული» უნდა ზეომობდეს.

რა არ ათქმევინა მტერმა ქართველ მგოსანს, რა ვერაგო-

ბით და პრიმიტიულ ბარბაროსობით დაჩეხა მისი შემოქმედება, მთელი მისი შინაგანი სამყარო... ამ წამებას ვერ გადურჩენ ბევრი ნიჭიერი მწერლებიც, და ერთი მათვანი ასე «ლალადებს»:

... «და ჩემი ლექსიც ათი წლის თავზე სოციალისტურად გაწრთვნილი იბრძვის...» («საქართვ. გასაბჭოებს 10 წ. თავზე») ანდა «მხარი მხარს, მხარი მხარს, კოლექტივო მხარი მხარს, ჰარიქა ქალაქო, ველით ტრაქტორების ღვარს. დროშებით მივუდგეთ გაერთიანებულ ჯარს...»

გაგიკვარდებათ, რომ ამგვარი გალექსილი რეზოლუცია უგეგური და უილაჯო ეკუთვნის შესანიშნავ მგოსანს — გ. ტაბიძეს. მაგრამ ის ხომ გამონაკლისი არაა; დაუგდეთ ეხლაწუთით ყური ა. მაშაშვილს: «დევ ხუთწლედის გამარჯვებისთვის ვიყოთ დამკერელი და გადამწყვეტი; მაშ, როგორ გინდათ, როგორ გავასწროთ კაპიტალიზმის ტემპს და ევროპას?...»

და ამგვარ იაფთასიან, საპროგრამო პანეგირიკებზე ცატჭოთა «კრიტიკა» აღფრთოვანებით სწერს: ... «უდიდეს ენტუზიაზმის და რევოლუციონური განწყობილების შემქნელია ეს სტრიქონები. პოეტი ახალ ცხოვრების მაჯის ცემას კარგად გრძნობს...» (იხ. შ. რადიანი — «ქართ-მწერ. მიმოხილვა», ჟურ. «მნათობი.»)

მაგრამ ჩვენს წამებულ მგოსანს ხშირად არც ამგვარი დაცემა აკმარეს.. მტერმა მას უფრო მეტი მსხვერპლი მოსთხოვა და წაქცეულს და ნაგვემს ასეთი საშინელი უმსგავსოებანი ათქმევინა:

... «სანამდე ელაგს გაბასრული ხმალი კომუნის მე ჩემს სამშობლოს ქვეყანაზე ყველგან ვიშოვი...»  
 (კ. ლორთქიფანიძე)

ან კიდევ უკეთესი: «მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას, როგოლუციამ თუ კი მიბრძანა...» (კ. ფეოდოსიშვილი.)  
 ან კიდევ... მაგრამ არა, ამ დამცირების და გათახსირების

«რითმები და მუსიკა» აღარ გვინდა გავიმეოროთ და ეს ან თბილის მოვაგონოთ და შევკადროთ, ან ჩვენს თავს. მე მათ, ამ ბორკილდებულ პოეტებს ჭვას ვერ ვესვრი; მათში მრავალი ღირსეულია და დაისრული, ვით სებასტიანე.

რა მათი ბრალია, რომ «მტერი მოერია და მერე რა მტერი?» (ვით ერთხელ პლატონ იოსელიანს უთქვამს.) ამ მწერლებს თავები სახრჩობელაში აქვთ გაყოფილი და მათი სიტყვებიც მხოლოდ ამოძახილია, განმეორებაა ჯალათის კარნაბის...

კარგად გვესმის, რომ ბევრი ამას ვერ უძლებს, ტყდება და კვდება; ეს არის ბედი დაპყრობილ სამშობლოს წამებულ შვილთა:

«მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოვვეშია, ჩვენც მალე საღმე ჩაგვაძალლებენ...

«სული დაალპეს და მერე მძორი, მძორიც ძერებმა გამოათვეს...» იშინასწარმეტყველა მგოსანმა ტრციან ტაბიძემ და ამოიტირა დიდი სეგდა განწირულ მეგობართა: პაოლო იაზვილისა, მაიაკოვსკისა, ესენინის და სხვათა, ტყვით გული რომ დაიცხრილეს და რომელთა «მძორებს» ეხლა «სვავები» შემოსევიან.

მძიმე პირობებში იბრძოდა და იცავდა თავს მრავალი მათგანი, ბევრმა გმირულად გადაიტანა და იტანს დღემდე ამ უსწორო ბრძოლას და ქართულ სახელოვან მწერლობის ტრადიციებს მკერდით იფარავს, მის ღირსებას შეგნებულად ეწირება...

ამას ხედავს ნამდვილი საქართველო, მისი გული, თბილისი და მათ წმიდა სიტყვას და სახელს ზრუნვით უნახავს მომავალს — უნახავს «მეოთხე მოქცევის» ხანას, რომელი მოგა... ოო, მან იცის, რომ ის მოვა...

წამების გრძელი გზა განვლო ჩვენმა მწერლობამ... განადაივიწყებს მისი მემატიანე ა. აბაშელის მხვედრ და მკვეთრ თქმას: რომ დიდ მგოსანთა შემოქმედება ჩაახრჩო და შესცემა სრულმა გადაგვარებამ და საშინელმა დაწვრილმანებამ..?



ყველას მახვილად ჩაერქო მკერდში მგოსნის «განცხადებულის დება», რომ აღარ ისმის: «ციდან ქუხილი ბარათაშვილის, მთიდან ყივილი ვაჟას ხარისა» და რომ დღეს — «ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა, ამონა-წერმა გაზეთებიდან...»

ამ საშანელ მონობის და დაცემის ხანაში მგოსნის ზრახვანი და წმიდა ანდერძი გულში ზღვად ლელავს და აღმოხეთ-ქას ლამობს... აბაშელი ამ ქარაგმას ხსნის:

«და ერის ტანჯვის გამომხატველი

იზრდება გულში დიდი ნაღველის

ორი მწვერვალი — კრწანისის ველი და თებერვალი...»

აი, დიდი ბოლმა ორი ეპოქისა, მგოსანს რომ დასწოლია...

დღეს ეს არის ტრაგედია — «მეორე მოქცევის» უწყალოდ დაკარგვისა.

კიდევ უფრო მეტის სიმძაფრით გამოუთქვამს ეს საბედის-წერო «თებერვლის» ტკივილები ჩვენს სახელოვან მგოსანს, თბილისის ყველაზე დიდ მოტრფიალეს და მის დიად დღეთა მესაიდუმლეს — ი. გრიშაშვილს:

«... სისხლი დასწურა საქართველოს ტკბილ საწნახელში...

მითხრეს: თბილისში როს იხილო მტრების შემოსვლა — იბრძოლე აბჯრის დაცვეთამდე ბებუთით ხელში...»

აი, როგორი ყოფილა წინაპართა ანდერძი; აი, რა სჭირო და საქართველოს: თუ მას გადარჩენა სწადდა, მას თბილისი უნდა დაეცვა, მისი კარები მტრისათვის არ უნდა დაენებებია.

«რა ვქნა?» სჩივის გულის კვნესით მგოსანი, «ანდერძი წინაპართა ვერ დაგატახს;

უმოქმედობა შემომევლო, როგორც ღრუბელი,

რა იქნებოდა: ეს ბებუთი კუბოს დაფაზე

გამეკრა მაინც ერთი მტერი დასალუპელი.» (გრიშაშვილი «ბებუთი მაგიდაზე»).

მაგრამ გრიშაშვილი, «მესამე მოქცევაში» მომწყვდეული, მაინც ქედმალლად შესძახებს მტერს, ვით ოდესალაც აკაკი, და

ეტყვის, რომ საქართველო «არ მომკვდარა, მხოლოდ ნძინავს.» ერეკლეს მადლი თბილის არც დღეს გასწირავს, — «მეოთხე მოქცევა» გარდაუვალია: «თბილისი ისევ გაირა-  
კლდება

და ნაგუბარში ჩადგება წყალი»  
(«მოლა მინარეთებზე»).

აი, ეს პწმენა ინახავს თაობებს დამარცხების შემდეგ. ეს არის ჩვენი პოტენციალური ენერგია, ქარიშხალად მოგარდნილ პესიმიზმს რომ ამარცხებს და ერის სასიცოცხლო ძალებს კვლავ თავს უყრის... «ქართლის ცხოვ.» სავსეა ამ ამბებით და ამან მოგვიტანა დღემდე.

ჩვენ, «მეორე მოქცევის» თაობა, თბილისის დაკარგვამ მძიმედ დაგვცა... ვგოდებდით, რომ დედაქალაქის კედლებს ასე ვტოვებდით და შიგ ბრძოლის კოცონს ვერ გაჩაღებდით და არ ვიძროდით «აბჯრის დაცვეთამდე», რის გამო ჩვენ სულსაც უიმედობა დაეუფლა, ამან ათქმევინა 26 მაისის თავისუფალ ქართულ მწერალთა კავშირის მაშინდელ თავ-ჯდომარეს, ნიჭიერ და ყველასაგან საყვარელ პოეტს — კ. მა-ყაშვილს:

«არც სიცოცხლის, არც სიკუდილის აღარა მაქვს ხალისი, — თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი...»

— «არა! სამუდამოდ არა!» მინდა ამ კეთილშობილ რაინდს საფლავში ჩაესძახო. ვიდრე თბილისი გვდარაჯობს, 26 მაისი ჩვენ არ დაგვიზამთრდება.



დღეს ქართველ მწერალთა სიტყვა, რომელი უტილიტარულ, საპროგრამო და საპროპაგანდო სიტყვამდის დაყვანილა, თუმცა ჩვენთვის უჩვეულო, დიდი ტირაჟით ვრცელდება, მაგრამ მაინც სუსტად და ყრუდ თუ ისმის... ხშირად ის აცდენილია, ყალბი და საცოდავი; რადგან მას ხერხემალი გადაუმტერიეს და გულწრფელობა, — ეს ძირითადი წყარო ჭეშმარიტ შემოქმედებისა, — სულიდან ამოაცალეს; მაგრამ ყოველივე ეს წარმავალია და «მეოთხე მოქცევა»-სთან

ერთად მისი ყლორტება ერთბაშად აღმოცენდება, ჩვენი მწერლობა. თვის ტრადიციულ სახელოვან ძირებს კვლავ გადაეძმება. ხოლო ჯაჭვებით შეკრულ დღეის მგოსანთა ყრუ კვნესა, თუ მისი ყალბი პათოსით «ამღერება», ჩვენ სწორად უნდა შევაფასოთ და მისი დამარხული ნიჭი შევიცოდოთ.

ეს «ამღერება» ჩენს ეკლიან გზაზე ახალი არაა; იგი ჰგავს იმ ხოტბას, რომლითაც ძველად გარდახვეწილი, მიტაცებული ქართველი ხორასანში მახმადს, ხმალ ამოწვდილ ჯალათის წინაშე ასხამდა. ამ «ხოტბის» ფასი თბილისმა ხომ კარგად იცის...

ამიტომ ის გაოცებული არაა, როცა დღეს, 1500 წლის მის ზეიმზე ქართველ მწერლობის სახელით ამგვარ ჰიმნებით ამ კობენ: «გავიდა წლები, ქარიშხალმა დაგიგრიალა, ,

შეწყდა შენს მკერდზე აგლეჯილი ბავშის კივილი..

თებერვლის ერთ დღეს მოგიშუშდა ყველა იარა,

თებერვლის ერთ დღეს დაგიყუჩდა ყველა ტკივილი.»  
(ზ. კუხიანიძე)

ამას ჰკითხულობთ თქვენ იმ საგანგებოდ გამოცემულ, საზეიმო კრებულში, რომელიც სახელმწ. გამომცემლობას ქართველ პოეტების სახელით 1500 წლის თავზე ჩვენი დედაქალაქისათვის მიუძღვნია.

მაგრამ იქ ხომ ამაზე უფრო მწვავე საშინელებანი მოუთავსებიათ; სამშობლოს დაპყრობის გამო, თებერვლის ხოტბებიდან, ჩვენ აქ მხოლოდ ორიოდეს მოვიხსენიებთ:

«მახსოღს არაგვის ცრემლიან ტალღებს

მშობლიური ქვეყნის ეხვია სევდა...

მახსოებს, შფოთიან თებერვლის ღამეს

თავისუფლების ნათელი სდევდა...»

ეს «თავისუფლების ნათელი» მოპოენია თბილის, 25.II., როცა რუსის ჯარმა ის დაიპყრო და ამით საქართველოს თავისუფლება ჯვარს გააკრა; და ავტორიც ცნობილ გამცემს და ერის მოღალატეს, ორჯონიკიძეს ასეთ ხოტბას შეასხამს: «შენ მოგვახარე პირველი სხივი

და გამარჯვების მზიანი დროშა..  
 ბელადი ცნობას კრემლში ელოდა,  
 ახარე, აღარ დაუგვიანე:  
 «დღეს აქ საბჭოთა საქართველოა,  
 დღეს აქ წითელი დროშა ფრიალებს.»

(ალექს. შანიძე: «მოსკოვს ახარე»).

ამ გვარი «მახარობელი» და მეხოტე წითელ მოსკოვისა  
 ერთი თუ ორი არ არის ამ «კრებულში»...

ხშირად ეს ყალბი და მწერლობის დამამცირებელი «პათო-  
 სი» მტერს ჩვენი ერის მესიად აღიარებს, ხშირად ის ქვე-  
 მძრომობითი ვეღრებაში გადადის დამპყრობისადმი.. და ლო-  
 ცულობს, რათა

«ჩვენს დედა-თბილისს, ჩვენს საქართველოს  
 მუდამ ფარავდეს ლენინის დროშა!»

ან კიდევ მეტიც: თურმე «ქართველ ხალხს უნდა — ლენი-  
 ნის ძეგლად თვით იალბუზის კლდეც გამოჰკვეთოს.»

(ა. მირცხულხვა: «ლენინის მოედანი».)

1500 წლის თბილისი თურმე მითი ყოფილა «ერთად ერ-  
 თი» და საამაყო, რომ

«ის იგებს კრემლის საათის ქლერით მსოფლიოს გულის —  
 მოსკოვის — ფეთქს,  
 და გრძნობს — ვერაფერს დააკლებს მტერი, რადგან სდგას  
 დიად მოსკოვთან ერთად». (ი. ნონევიშვილი, «თბილისი»).

არ იფიქროთ — ასე ლალადებენ მხოლოდ ახალი, «მესამე  
 მოქცევის» მგოსნები. სამწუხაროდ, ამ «ცდუნება»-ს, ამ და-  
 ცემას ზოგი ძველი, ნიჭიერი პოეტიც, რომელსაც გულს მო-  
 ხვედრია 26 მაისის თავისუფლების სხივები, გერ ასცდენია,  
 თავი ვერ დაუხტევია ამ დამამცირებელ სიყალბისაგან:

პოეტი გ. ქუჩიშვილიც «იხდის ვალს» და დიდ ზეიმის  
 დღეს თბილისს ეტყვის:

«ის აღარა ხარ, რაც იყავ წინათა,  
 ოქტომბრის მზემ შენს ცაჲედა ინათა..»

და კიდევ:

«საქართველოს მედროშე ხმრ ფრთაშლაპილი,  
შენ მიეცი ქვეყანას ჯუღაშვილი.»

(გ. ჭაბულიშვილი, «სიმღერა თბილისზე»).

უველა ამგვარი «ჩავარდნები» შეგვიძლიან ვაპატიოთ წე-  
მებულ, ჯაჭვით შეკრულ მწერალს; მაგრამ საშინელებაა,  
როდესაც ეს «დოკუმენტი» შემოქმედების დაჩეხის და უშუ-  
ალო დასახიჩრებისა, საქართველოს დღეის მწერლობის სა-  
ხელით სალდება და თავსდება ჩვენი დედაქალაქისადმი სა-  
ზეიმოდ მიღვნილ კრებულში; თავსდება ჩვენი სიამაყის: —  
არჩილ მეფის, ვახტანგ მეფის, დ. გურამიშვილის, ბესიკის,  
საიათნოვას, ბარათაშვილის და სხვა კორიფეების გვერდით,  
რომელთ თბილისი თავის დროზე სასახელოდ შეუმჭიდ.

თითქოს ამ საამაყო მწერალთა ძვირფას ტრადიციების გა-  
გრძელება უნდა იყოს თბილისისათვის და ჩვენთვის ის,  
რის ნიმუშები ზევით მოვიტანეთ და რამაც ასე გეატკინა  
გული.

აი, ამან გამიადვილა ეს მძიმე ამოცანა და გამაბედვინა:  
თუნდა სუსტად და მკრთალად, მაგრამ ჭეშმარიტად და გულ-  
წრფელად «მეორე მოქცევის» ერთი წარმომადგენლის ხმაც  
მიმეწვდინა ამ დიად დღეს ჩვენი სათაყვანო თბილისისათვის.

მე მინდა ამ შორეთიდან მას ვაცნობო, რომ ჩემი და მრა-  
ვალთა გული მას არ გადადგომია და არც გადუდგება, რად-  
გან მის მაჯის ცემას ახლოს მიჰყებოდა და მიჰყება...

სიშორეში მაინც ახლოს ვრჩებთ მასთან... ჩვენს სიღარი-  
ბეში ულეველი სიმდიდრეა, რადგან მისი სიყვარული გვა-  
თბობს.

ჩვენ ვიცით, რომ ის მაღალი «სიმართლეა» და დიდი «სა-  
კეთე» და გვჯერა, რომ ეს «კეთილი» სძლევს ბოროტსა,  
რადგან «არსება მისი ვრძელია...»

ამიტომ გვწამს, რომ თბილისი «მეოთხე მოქცევას» კვლავ  
იხილავს და მკვდრეთით აღმდგარი ჩვენს განაწამებ გულ-  
საც სიხარულით ააგსებს.

მე ჩემს თავს ნებას ვაძლევ ქართულ თავისუფალ მწერ-ლობის სახელით, დიადი 26 მაისის მწერალთა სახელით, რომ ლის მაშინდელ კავშირის მეორე თავჯდომარედ ვითვლებოდი, ჩვენს დედა ქალაქს მოირიდებით მუხლზე ვემთხვიო და მოვახსენო დიდი მადლობა იმ ნეტარებისათვის, რაც მან 26 მაისს დაგვაკურთხა და გვიანდება...

დე, იცოდეს, რომ ეს მაისი თებერვლად არასოდეს და-გვიზამრთდება.


ჩვენ თბილისთან განუყრელად ვრჩებით და მის ძველსა და ნათელ ძალას ფსალმუნის ენით მივმართავთ:

«და აღმომიყვანა მე მღვიმისაგან გლახაკობისა და თიხი-საგან უყისა, და დაამტკიცა ფერხნი ჩემნი და წარმართნა სლვანი ჩემნი...» (ფსალ. 39,2).

ყველას ავიტანთ მისი დახსნისათვის, მისი «მეოთხე მო-ქცევისათვის!»

უერა, ჩვენ მას ვერ განუდგებით, როგორც ვერ განუდგე-ბით ჩვენს წარსულს და ჩვენთ წინაპართ.. მას ესვიენ მამანი ჩვენნი და «იხსნა იგინი...»

ჩვენც ის გვიხსნის...



## «უცხო პიშკართან»

(გამორჩენილი ლექსები.)

ეს ლექსები, გამორჩენილი ჩვენი ლექსების სხვა კრებულიდან («უცხო ჭიშკართან», ბუენოს აირეს, 1956 წ.), თუმცა არსებითად ემთხვევიან, მაგრამ უშუალოდ არ ეკუთვნიან თბილისის 1500 წლის თავზე მიძღვნილ ლექსთა რიგს; ამის გამო მათ ცალკე, ამ წიგნის ბოლოში ვათვასებთ.

«...ჰოი ჩემსა სვესა, სად გარდამსვესა, მე სადაური სადათ არესა.

ბნელსა ჩამსვესა, სისხლი მამსვესა, მგონია, ესეც არ მაკმარესა...»

«... მე რა ვქნა უცხომ უცხოს კარს მდგომმან და შიგ ვერ შესულმა

ჩარჩოა ბრუნვითა მრუდითა ოდროოდ გულდანასულმა?»

**არჩილ მეფე**

## ჩემი პურთავა

მახსოვს მდინარე ჩემი პატარა,

«ჭურთავა» იყო მისი სახელი,

უხვად მოჰქონდა წყალი ანკარა,

და ნაწვიმარზე ჰქონდა, ვით ხელი...

ვლალობდა ბავში იმის ნაპირას,  
შიგ ჩავუშვებდი ქალალის ნავებს,  
მჯეროდა: ბედი თუ არ გამწირავს,  
ჩემს «ნავს» დიდ ზღვამდე არ დააკავებს.



რომ სიჭაბუკე შემომეპარა,  
ლურჯთვალა გოგო იქ შემიყვარდა;  
ვერ ვუთხარ — ბინდი ჩამომეფარა,  
წერილიც წყალში გადამივარდა...



გიუმა მდა ნარემ ის შორს წაიღო,  
და საიდუმლო გაანდო ზღვასა,  
ამით სიცოცხლე შუა გაიყო —  
და ვერსად შევხვდი მე სატრფოფს სხვასა..



ადრე მომწყვიტა ბედმა ჭურთავას,  
თვალმა ცრემლები შიგ ჩააღვარა,  
რაღგან ვტოვებდი ჩემს მიწას, ჰავასა..  
წყალმა ის ცრემლიც ზღვას ჩააბარა.



ასე მიჰქონდა ზღვისკენ მდინარეს  
ჩემი ოცნების თეთრი გედები;  
ვეღარ გაუძლო გულმა სიმწარეს,  
ბერდება რწმენა და იმედები...  
ვატყობ — ვერ ვნახავ ჩემს მშობელ მხარეს,  
«უცხო ჭიშკართან» კვლავ ვეხეტები...



შავს ზღვაში ტოკავს ბავშობის ნავი,  
მას სდევს პირველი ტრფობის წერილი,  
ორთავ დარაჯობს ჩემ ცრემლთა ზვავი,  
მე კი მტერს ვყევარ აქ დაჭერილი..



დრო მიჰქის, ნავმა საჭე დაჰკარგა,  
 უშველეთ! თორემ ჩაიძირება...  
 «ტრფობის წერილიც» წახდა, არ ვარგა,  
 ვერც ასოები წაიკითხება;  
 ცრემლიც ტალღებმა გადააბარგა,  
 ვინ იცის, — რომელ კლდეს ეხეოქება?...  
 ~~~~~

ტკბილო ჭურთავავ, ყველა დამცარე:  
 სამშობლო, ბედი და სიყმაწვილე,  
 არც სიყვარული არ დამაცალე  
 და მწირს სიბერე აღრე მახილე...

მაგრამ, მერწმუნე, არ მითქვამს ძვირი...  
 შორიდან გეტრფი და ვსტირი, ვსტარი...



## გაფრენილი ბეჭი

«გამიღწინდა სიხარულის ფრინველი  
შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა...»

დავით ბატონიშვილი

განგებამ ბევრჯერ ტკბილად დამცადა,  
ჩამომიქროლა სულ ახლოს ბედი...  
ტყუილად ვდიე, ხელი დამცარა,  
დავიქანცე და ადრე დავბერდი.  
ტყე ბევრი ვკაფე, დავრგე ვარდები,  
ყვავილოვანი დავდგი სასახლე,  
ვფიქრობდი: ერთხელც შეგუყვარდები...  
მაინც არ იქმნა — ვერ მოვიახლე...  
 ≈≈

ამდენმა დევნამ და ხეტიალმა  
ლექსიც მამლერა თითო-ოროლა,  
მაგრამ მიმტყუნა ბედმა ტიალმა:  
დღესაც შორს დაპფრენს ბედის ტოროლა.  
კვლავ ვევედრები: «ჩამოჯექ ახლოს,  
ჩემს სარკმელთანაც ერთხელ მიმღერე,  
მაგ ხმამ იმედი რომ განმიახლოს  
და დამიამოს მწირი სიბერე...»  
მაინც შორს დაპფრენს, გალობს სწვის კარზე,  
არ სურს, რომ იყოს ჩემი სტუმარი,  
ამ წმიდა ლოცვებს დილის ცისკარზე  
ის ძველებურად ხვდება მდუმარი..  
 ≈≈

დღეს მუხლში ძალა გამომელია,  
 დაბინდდა ხედვა, სმენა მაკლდება;  
 ჩემი სასახლეც ცარიელია  
 და პოეზიაც მალე მოკვდება.  
 აწ ვერ მოგისმენ და უერც შეგხედავ,  
 ჰქონება, ტოროლავ, ამის იმედი,  
 და ვერც ნუგეშსა რასმეს შეგბედავ,  
 რომ ერთხელ მაინც მომძებნის ბედი.



მე და ბედს ოურმე სხვა გზათ გვივლია,  
 ფუჭად შევუდექ ლექსებით მღერას,  
 და ღვთისოვის ტყვალა შემიჩივლა,  
 რომ ამაცინა ჩემს ბედის წერას...  
 დღეს საბოლოოდ მოგხარე ქედია...  
 აღარა მჯერა ბედისა მეტი;  
 ჩაჰარა ჩემი მზი, სინათლის სვეტი...  
 დამეცით ბარემ ტყვაა ცამეტი!..



## მატარებლები

(ჩემს თამარს)

გახსოვს? — გიყვარდა საქართველოში  
მატარებლების დახვედრა აგრე...

იდექ ბაქანზე, თუმც ვის ელოდი,  
ეს არასოდეს იცოდი ადრე.

და როს დარაჯი ზარს ჩამოჰკრავდა,

შენ წითელ ვარდათ გადიშლებოდი,  
თითქოს ორთქლმავალს შენთან მოჰყავდა,  
ის, ვისიც ტრიობით არ იღლებოდი.

როცა მანქანის გესმოდა ქშენა,

მქროლავ ფანჯრებში მგზაურებს უცქერდი,  
ყურს ჩაგწიოდა ორთქმავლის სტვენა,  
ბორბლების სრიალს ნაზად უმღერდი.

შენ იქ ხვდებოდი მეგობარ ქალებს,

ჰკითხავდა რასმეს სიტყვით ჩაკრულით;

აციმციმებდა ხავერდის თვალებს

და კისკისებდა ნათელის გულით...

თან უყურებდი დაღლილ ორთქლმავალს,

იმ შენს სადგურზედ რომ ისვენებდა,

გებრალებოდა, რომ სვამდა ბევრ წყალს

და ცეცხლის სტომაქს მით ისველებდა...

მგზავრებში მრავალ ნაცნობს ხვდებოდი,

გაუღიმებდი, თავს დაუკრავდი;

შემდეგ, ვით შველი, უცებ ჰქინებოდი,

ჩარაზმულ ვაჟებს გულს მოუკლავდი...

და როცა ზარი სამჯერ დაჰკრავდა,

მგზავრები სევდით თვალს გაყოლებდენ,

შენს ნასროლ ეშხზე, იმათ რომ სწვავდა,

ბრაზით თამბაქოს გააბოლებდენ.

შენ კი ხალისით გაბრწყინვებული,  
 ეხლა სახლისკენ მიიჩქაროდი,  
 მგზავრნი გრჩებოდა დავიწყებული  
 და ხვალ ახლებთან მიიხაროდი...  
 მატარებლები ასე მიჰქოდენ,  
 გიყვარდა მათი შენ გაცილება,  
 ეგ ოცნებები მგზავრებს მიჰქონდენ —  
 გრჩებოდა: ეშხი და გაცინება...  
 ეხლა მოხუცდი, გათეთრდა თმები,  
 გამოგელთა ძალა მუხლებში,  
 მაგრამ კვლავ გესმის ძველი რითმები  
 მატარებლების ქშენაში, ხმებში...  
 უცხო სადგურზედ შენც გამოდიხარ,  
 ბაქანის სკამზე დაღლილი ჯდები,  
 იქ შენ უსიტყვოდ ზიხარ და ზიხარ  
 და მატარებლებს უშვებ და ხვდები.  
 რა უამრავი ხალხი ირევა,  
 მაგრამ აქ შენ ხომ არავინ გიცნობს,  
 სკამზე ფიქრები აღარ ილევა, —  
 ტკბილი წარსული გეძახის, გიხმობს.  
 აქ მგზავრი წყრება, სადღაც იჩქარის,  
 უცხოა მისი ენა, ფიქრები...  
 ეხ, ნუ გგონია — ძველი ღრო არის,  
 რომ ბედნიერი აქაც იქნები.  
 კვლავ უგულოთა მოღელავს ჯარი,  
 მაგრამ შენთვის ხომ ყველაა მკვდარი...  
 ღაწვზე გაჩნდება ცრემლი ჩამჯდარი,  
 ვით დამჭვნარ გარდში, ობოლი ცვარი...  
 ეხლა თვალები გიჩანს სოველი,  
 გოხოვ — განიშორო ფიქრი თავიდან...  
 ხედავ, — შინისკენ ჩქაროს ყოველი,  
 დაგიგვიანდა და მზეც ჩავიდა...  
 ნუ უცდი! შენი მატარებელი  
 დიდი ხანია უკვე წავიდა...

## ჩემი შემოდგომა

შემოდგომა, სუსხია, ცივა,  
 გაძარცულ ხეებს ქარი ატირებს,  
 და ქარვის ფოთლებს, უხვათ რომ ცვინა,  
 ზუილით ცყრის ეზოს ნაპირებს.  
 ბოსელის კართან ნახირი ზანტობს,  
 თითქოს გამოსვლას აღარ აპირებს  
 და შემჭკნარ ვარდებს, რთვილი რომ აზრობს,  
 ზამთარზე ფიქრი აკრთობს, აშინებს...  
 ფრინველთ გუნდადან დამრჩა აქ ყვავა,  
 გულს რომ მიწყალებს ლოველ ჩხავილით,  
 და ცხოველებში, — ეს კატა შავი,  
 მუდამ რომ დამდევს მშეერ კნავილით...

ამ შემოდგომის ცივ სადგურებზე  
 მე კვლავ ზაფხული მომაგონდება,  
 ვარდის ხეივან, ფანჩატურებზე  
 ჩემი ოცნება დამიღონდება...  
 ეს ქარიც ასე რომ ზუის, ყვირის,  
 თითქოს გულს მაყრის სოველ ფოთლებსა  
 და თან მშუხარე ცრემლით დასტირის  
 ჩემებრ დევნილებს, სულით ობლებსა.

რა ცოცხლათ მახსოვს მშვანე ზაფხული,  
 მისი ცელქობა, ვნება, ვარდები, —  
 მოუებს გადვირბენდი სულ განაბული,  
 სიყრმის მუხლები მება მარდები...  
 რარიგ მეჩჩრდა შრომისთვის ძალი,  
 ვხარობდი ლხენით, სადღეგრძელოთი;  
 და სალამოთი, ვნებით დამთვრალი,  
 ანთებულ გულით სატრფოს ველოდი.  
 რა ურიამული იდგა ჩვენს ბალში,  
 როცა ჩიტები ბუდეს აგებდენ  
 და მზეც აქრის სხივს ჰყრიდა ოთახში,

ოდეს ბავშები ფანჯრებს აღებდენ..  
 რაზიგ შევნატრი დღეს მე ამ ბავშებს,  
 — შეესწრებიან ბევრს გაზაფხულსა,  
 გაძარცული ტყეც კვირტებს აავსებს  
 და კვლავ გაითბობს გათოშილ გულსა...  
 მაშინ მოილხენს ყველა, ჩემს გარდა;  
 მე კი, ვით ფოთლებს, წამილებს ქარი;  
 და რაც გამაჩნდა, რაიც მიყვარდა,  
 იქნება ჩემთან ერთად დამწვარი.

ვერა, ვერ ვნახავ ახალ გაზაფხულს,  
 გამიღის ყავლა, განცხრომა, შვება,  
 და ოცნებები, რაც მქონდა წარსულს,  
 ჩაიფერფლება, ცეცხლში დაშვრება...  
 ამ შემოდგომას მოდევს ზამთარი,  
 სიცოცხლის დასკოც იქ გადიხება...  
 ოხ, რა მძიმეა ნოვემბრის ქარი,  
 როცა ჩემი მზე ჩაღის და ჰქონება...  
 მაგრამ სადღაც შორს, ციურ ნაპერწყალს  
 მაინც გააჩნის არსი დამწვარი,  
 და იგივ ქარი გაანდობს მერცხალს,  
 რომ ჩემი გული არ არის მკვდარი.  
 და ის მერცხალიც ყოველ გაზაფხულს  
 გადაუქროლებს ჩემს მშობელ მხარეს,  
 ჰიკჭიკით უმღერს ამ ძველ სიყვარულს,  
 — ივერიაზე სეგდებსა მწარეს.  
 ეტყვის, რომ მოხვდა მას ნაპერწყალი,  
 ლტოლვილი მგონის დამწვარ გულისა,  
 მით უკვდავების შესვა მან წყალი  
 და აწ არ სჯერა აღსასრულისა...  
 შემოდგომაა, სუსხია, ცივა,  
 გაძარცულ ხეებს ქარი ატირებს,  
 და ქარვის ფოთლებს, უხვათ რომ ცვივა,  
 ზუილით აყრის ეზოს ნაპირებს.


## «ქართული თეოტი»

უცხო ქალაქში მიტოვებული,  
 როს მოგონებით თავს ვაწვალებდი,  
 და ზღვა ხმაურით გაბრუებული,  
 ათას სავაჭროთ ვათვალოვალებდი,  
 ნუმიზმატიკთან ნაირ ფულებში  
 მე «ქართულ თეოტისა» თვალი მოვკარი...  
 შევკრთი, წამერთვა ძალა მუხლებში,  
 ნდომის წყურვალი ვეღარ მოვკალი.  
 იმ ნაირ ფულებს დიდხანს ვუცქერდი,  
 მათ ოქროვერცხლზე წარწერებს ძველსა:  
 სჩანს მეფეთ თავი, ქალწულთა მკურდი,  
 ამაოდ ვეძებ მათში ქართველსა.  
 და მე კვლავ მიპყრობს მხოლედ ის ერთი,  
 გადალესილის ქართულ წარწერით...  
 მასზე ძლიერ მოსჩანს: «ქართული თეოტი»,  
 დღეს რომ გაშავდა წლებით და მტვერით.  
 ვინ წამოილო ნეტავ? ლტოლვილმა  
 თვისდა ნუგეშად ამერიკაში?..  
 ან რად გაჰყიდა მამულიშვილმა  
 და დაუკარგა ძველი კაშკაში?  
 იქნებ ცოოდა, იქნებ შიოდა?  
 უგულო ხალხში იარებოდა,  
 იქნებ ჩემსავით ბედს შესჩიოდა  
 და სამშობლოზე სევდით ჰქონებოდა.  
 ეხლს აქ გდია ფულთა ხროვაში,  
 დღეს მას ვინ იცნობს, ან ვის სჭირია?

გადიან მისთვის წლები გლოვაში,  
 მყიდველებისთვის თურმე ძვირია...  
 ყველა ჯაბეებს გადმოვაბრუნებ,  
 მზად ვარ მთლიდ მიგსცე ჩემი ქონება,  
 ნუმიზმატიკიც არ გამამტყუნებს:  
 ხვდება — დავკარგე ბრიყვმა გონება...  
 ~~~~~

ვარ ბეღნიერი, რომ დავიხსენი,  
 ალარ მრცხვენიან ეხლა იმისი,  
 ავალაპლაპე წარწერა ჩვენი —  
 ზედ გამობრწყინდა სიტყვა — «ტფილისი.»  
 მომილოცნია ქართულო ფულო,  
 ქართველის ხელში რომ მოიქეცი.  
 მხოლოდ ერთსა გთხოვ — არ მიორგულწო,  
 მიმოცაქულე — პატივი მეცი...  
 აცნობე თბილისს, რომ ვარ ამ დღეში,  
 რომ შეც მჭირია ხელი დამხსნელი,  
 გამომისყიდოს, ვთხოვ — მცეს ნუგეში;  
 მაკმაროს ტანჯვის ამდენი წელი...  
 უთხარ: ამ ხალხში ყრუ და მუნჯი ვარ,  
 უმწეოდ ვგდავარ დაკარგულებში,  
 არავინ მიცნობს, არვის ვუნდივარ,  
 მედება უანგი ხურდა ფულებში...  
 აქ ტყვილა ვეძებ «საყვარლის საფლავს»,  
 ან ვიღა შემრჩა შველა თავს იღოს?..  
 ტყვეს მხოლოდ მშობლის ნუგეში მახლავს,  
 იქნებ ოდესმე გამომისყიდოს...  
 და ოკეანეს გადმოლმა მხარეს,  
 აღწევს იმედი ბრწყინვალე, მკვეთრი...  
 შორით მიშუქებს ბნელ არე-მარეს,  
 ეს მოციქული — «ქართული თეთრი».





## შიდრები ძველ და ახალ

### ჩართულ პრიკაზე

ჩვენი მწარე ფიქრები დღეის ქართულ მწერლობაზე (იხ. ზეცით: «მეოთხე მოქცევისათვის») უმთავრესად თბილისის 1500 წ. ზემისათვის მიძღვნილმა ქართველ მწერლების კრებულმა — «ჩვენი თბილისი» გამოიწვია.

ბევრი შეუსაბამობა და დამაცირებელი «ხოტბები» წარმოადგევინა უმწევო მწერლებს «მესამე მოქცევაში» მომწყვდევამ. ჩვენ მხოლოდ ორიოდე იღვნიშნეთ და ისიც არა ვისიმეს დამცირება-გაკიცხვისათვის, არამედ ჩვენი ძველი, თავისუფალი მწერლობის ღარსების და მისი ნათელი ტრადიციების სიყვარულისათვის.

ტენდენციური და ნაკარნახევი შიმოქმედების მაგალითები, მართალია, რევოლუციამდელ საქართველოშიაც გვსმენია და გვინახავს, მაგრამ მაშინდელ მწერლობის «აცდენა» სულ სხვა ბუნების იყო, რის გამო «ქვეწარმავლური» ის არ ყოფილა.

აქ უბრალო დაპირისპირება ორ უმთავრეს განსხვავებას ვერ აცდება:

პირველი ის, რომ ეს «კარნახი და ტენდენცია» მაშინ ჩვენი ქვეყნის დამპყრობისა და მტრისგან არ მოღიოდა; ის ქართულ რაობისათვის თუმცა შეუსაბამო, უცხო და შემოტანილ მოძღვრების ნაყოფი იყო, მაგრამ, ვიმეორებ, ას არ ყოფილ დამპყრობის მიერ ნაკარნახევი, მისი ვერაგობით, შიშით და ტერორით «შთავონებული ქმედობა».

მეორე განსხვავება: ამ უტილიტარულ და ტენდენციურ შემოქმედების საწინააღმდეგოდ იმ დროში გაშლილი იყო თავისუფალი და ფართო კრიტიკა, რის პროცესში ჭეშმარიტება და ნამდგრილ ხელოვნების ათვისება გზას იკაფავდა; იყო აზრთა თავისუფალი დუღილი, პაექრობა და ბრძოლა — ხშირად მწვავე, მაგრამ არასდროს — დაუნდობელი და მზაკვრული, მტრის გულის მოსაგებად «გადაკრულად» და გამცემლურად გამოსროლილი....

დღეს კი, «მესამე მოქცევის» ხანაში, ვერაგულად გაცემულ და დაღუპულ მწერალთა სახელი ლეგიონია და მწერლობის და მწერალთა ცრემლების და სისხლის გაღებაში «საბჭოთა კრიტიკის» «დამსახურება», საუბედუროდ, მცირედი არ ყოფილა... დღეის მწერლობის გულსაკლავ დაცემაში და მის უღირს დატყვევებაში საბჭოთა კრტიკის დიდი როლი უთამაშნია: ის მაღალ «ფუნქციონერებიდან» მორიგ დირექტივებს მორჩილებით იღებდა და «დიალექტიკური ლოლიკის» თანამიმდევრობით ქართველ ხელოვანზე გარდაპქონდა...



საბჭოთა კრიტიკის მიერ ბარბაროსულ და მკაცრი ტენდენციურობით მიღვიმას მწერლობისადმი ჩვენ სხვა დრო-საც დავუბრუნდებით, ხოლო დღეს კი დიდის მწუხარებით გიტყვით, რომ ამ უწყალო «სოციალურმა დაკვეთამ» მართ-

ლაც თავი «მოჰკვეთა» ბევრი ნიჭიერ მწერალს, ხოლო ზაფხულისა და ცოცხლადაც სამუდამოდ დაადუმა.

საბჭოთა კრიტიკის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი კატეგორიულად და იმპერატიულად (თავხედობას რომ თავი ვანებოთ), აცხადებს და მოითხოვს მწერლობის და მწერალთა სრულ დამორჩილებას: «ჩვენ ვვინდა», ბრძანებს დღეს უკვე გაპროფესორებული შ. რადიანი, «ისეთი ლიტერატურა, პოეზია, რომელიც მასებს დარაზმავს სოციალიზმისათვის ბრძოლისთვის. «მგოსანს» ესაჭიროება ვთლი ტიკური სიმაგრე, მკვეთრი ტენდენცია» და ქვემიუთითებს მწერლებს სიბრძნის ნამდვილ «წყაროზე»: ... «ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტა... შესაძლებელია მხოლოდ მსოფლმხედველობის და შემოქმედების მეთოდის საფუძველზე. ეს მსოფლმხედველობა, ეს მეთოდი კი უნდა იყოს დიალექტიკური მატერიალიზმიზი». (იხ. შ. რადიანი, «ორი პოეტი». «მნათობი»).

აი, სწორედ ამ «დიალექტიკის მეცნიერებმა», — ამ რადიონებმა, ულენტებმა, ქიქოძეებმა და სხვა, კომპარტიის «სატელიტებმა» აიძულებს დღეის მწერალი სამშობლოს წარსული გაეყალებია და ჩვენი ეროვნული ხიამაყისათვის გამცემლურად ფეხი დაედგა და ისეთი უმსგავსობანი წარმოეთქვა, რის წაკითხვისას ყოველი ქართველი გაწითლდებოდა:

«ჩვენ, წინაპრებო, ერთმანეთი გადავიცანით,  
ჩემთვის ერთია დღეს ერეკლე და მახმად ხანი»...  
(კ. ლორთქიფანიძე).

აი, რაგვარ დაცემამდე მიიყვანა საბჭოთა «კრიტიკის აღზრდამ» დღეის მგოსანი: მისთვის ჩვენი ერის სასახელო და საამაყო, დიდი ერეკლე ოგივე გამხდარა, რაც ჩვენი

իշխանությունում մոմացրելու և ամոմցած սպառագալ աղա-մատաճ են...»

Քա՛մարութիւն, ռամցենալ տապակալու, մոհալուրալ ամալլությունու և թիւկու պատուլու թինալ յահուլու լու-թիւրաթյունու քրութիւն, և առա մեռլու երես «մեռնե մովուցած» եանամու, կրտմեց հեզոլուցուամցած սայարուց-լուն, ցարութմու լուսաւութիւնը սաւենենուրու პորությունը.



յահունուլ թիմուն ուղարկեցած մատարեցած իշխանութիւնը դժեռակա և սպառագալ սպառագալ հեզոլուցուամցած յահուլու թիւր-լունիս, և ու մու յահու չգուգա համես լուսունեցած, յև ուսու սուսուալուր կոտեզեցած პհոմաթուն և յահունուլ մո-ւուցած ելունցնուրալ ցամունուն, ամ ծանեցան մալալ ցանենուն լուսուլցեցալուցու...

Սամուսու սածութեած իշխան մանունցած յահութիւնը միացա-լուս, մացրամ լուս իշխանուն, սալությունու և, մուլթօնմելու. յիշուրեց ամութու ցունու մետու ցուլուսպուրու թյահուրուց յահու ամցակ մասալակ, հոմելու ելու հացարուն; յև ցանուաց յահու լուսանասկենուլ ցամուցեմատացան «սայարուց-լուն և սամելուն այսուցուան» — յահուլու: «լութիւրաթյու-րուլու սույնուն», թիգնո 11., հոմելուն, սեցաւա մոհուն, մոտացեցած հեզոլուցուամցած սայարուցելու լութիւ-րաթյուրուլու յահութիւնը մովու ուստունա.

Ցանունցած յահութիւնը մոմունուլցուն ամյամալ իշխանուն և սանությունու ու ալցուլցած, հոմելու յահութիւն մայությունուն ու լաւագությունուն, հանութաւ նույզ ցայտունու մայությունու և հասաւ, հծունու հոմ ցամունտյան, բանուցենուրու յահութիւնուն յահութիւնու...

Սովուն բանուցենուրու յահութիւնուն յահութիւնուն հո-ջուս; ու ծանեցան յահութիւնուն, ու ալցուլցած յահութիւնուն ու լաւագությունուն ցամունուն մայությունուն ու հասաւ, հծունու հոմ ցամունտյան, բանուցենուրու յահութիւնուն յահութիւնու...

დან ძალად თავს ახვევენ.. ამგვარ ტენდენციურ იდეებში ქვეშ შემოქმედების ხერხემალი ტყდება; ის იქცევა მისი ინდივიდუალობის შემბოჭველიდ, ჰკლავს თავისუფლებას.

ჩვენს დროში კრიტიკა ებრძოდა ასეთ ტენდენციურობას, და ებრძოდა არა განყენებულ, «წმიდა ხელოვნების» ეს-ტეტიურად ათვისების მიზნით, არამედ უფრო რეალურ, მაღალ მცნებისათვის: ინდივიდუმის სრულ განთავი უფლებისათვის.

ამ ინდივიდუმთა კატეგორიაში შედიოდა არა მხოლოდ ცალკეული პიროვნება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ერი, როგორც მატარებელი ინდივიდუალურ შემოქმედების ენერგიისა. ამიტომ მაშინდელი კრიტიკა ტენდენციურ, უტილიტარულ ხელოვნებას უარყოფდა და შემოქმედის განთავისუფლებისათვის იბრძოდა.

დღეის «საბჭოთა კრიტიკა» კი იბრძვის სწორედ ამ უხეშ ტენდენციურობის აბსოლუტურ გაბატონებისათვის, ე. ი., პიროვნულ, ინდივიდუალურ და, მაშასადამე, ეროვნულ ქმედობის სრულ დამორჩილებისათვის, მისი დამონებისათვის; და ასეთ ტლანჯ ბრძოლაში ის ხშირად სახელმწიფო აბარატის გამოყენებასაც არ ერიდება.



ჩვენი დროის ლიტერატურული კრიტიკა არაფრით ჰე-  
ვდა დღეისას; ის უდავოდ თავის სიმაღლეზე იდგა; ის თა-  
ვისუფლების წმიდა იდეებს არ ლალატობდა და მაშინდელ  
მძიმე ცენზურულ პირობებში უმთავრესის თქმას მაინც  
ახერხებდა.

იმ ხანებში ამას გმირობად არავის უთვლიდენ; წინააღ-  
მდეგ, ეს იყო ქართულ საქმის მსახურის ჩვეულებრივი მო-  
ვალეობა, ჩვენი მწერლობის და კერძოდ, კრიტიკის ნამდ-  
ვილი მოწოდება.

დღეის «მიღწეუებმა», განსაკუთრებით ესტეტიურ შე-  
მოქმედების დარგში, იმდენად უკან გადაგვისროლა, რომ

მაშინდელ ჩვეულ ლოზუნგების გახსენება პირდაპირ გვა-  
ოცებს; ამავე დროს სასიხარულოდ გვრჩება, რომ საბჭოთა  
სინამდვილეში «მამების» ანდერძის მოგონების საშუალება  
ეძლევა დღეის ახალგაზრდობას. ამიტომ, უნდა გამოვტყ-  
დეთ, დიდი კმაყოფილება ვიგრძენით, როცა ქართულ სა-  
მეცნიერო აკადემიის «კრებულში», სხვათა შორის, ჩვენი  
მაშანდელ ნაწერიდანაც ისეთი ადგილები ამოვიკითხეთ,  
რომლებიც მიმართული იყვნენ ტლანქი ტენდენციურობის  
ან ეროვნულ-ინდივიდუალურ სათავეებიდან აცდენის წი-  
ნააღმდეგ და ემსახურებოდენ თავისუფალ, დამოუკიდებელ  
შემოქმედების მაღალი იდეებს.

სწორედ ამ მხრივ ხდება სადღეისო, აქტუალური ეს თა-  
ვის თავად უბრალო ისტორია მაშინდელ ქართულ კრიტი-  
კისა.

დღეის სისტემაში კი ტლანქად მოხვეული ეს ტენდენცია  
ხელოვანს ჯერ იმონებს და შემდეგ ჰყლავს, ან თავს, აკვ-  
ლევინებს...

ეს უბრალო, მაშინდელ ვითარებაში ჩვეული ადგილები,  
შემოქმედების და ერის თავისუფლებაზე რომ ლაპარაკო-  
ბენ, იქაურ მკითხველს სწორედ აკტუალურ ტკივილებზე  
მიუთითებენ და განმარტებას არ საჭიროებენ...

ავილოთ, თუნდ ეს ადგილები ნარკვევიდან, რომლებიც  
ლიტერატურაში ეროვნულ მოტივების უგულვებელყოფას  
ეხებიან:

«იმ პერიოდის ლიტერატურაში, რომელზედაც აკაკი პა-  
პავა ლაპარაკობს, ცხადია, იყო ეროვნული მოტივიც», —  
სწერს შევლევარი, — «მაგრამ კრიტიკოსი მოითხოვს, რომ  
ქართულ ლიტერატურაში პრიორიტეტი ეროვ-  
ნულ მოტივს მიენიჭოს, რადგანაც  
ჩვენთვის ჯერ მთავარია ეროვნული  
და მოუკიდებლობის მოპოება». (იხ.  
გვერდი 245).

ავტორის თქმით, ჩვენ იმ დროში ცალმხრივობას ვწინაშებდით ქართულ მწერლობას:

«ეს ცალმხრივობა ა. პაპავას აზრით გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ მა მწერლობა მ მი ი ვიწყა ალიას, აკაკის და ვაჟას მიერ ესოდენ შარავანდედით მოსილი ერთ-ონებული მოტივი და სოციალურ თემატიკამ, უხეშმა ტენდენციურობამ შთანთქა ქართული ლიტერატურა...»

სწორედ ამ ეროვნულ შემოქმედების გზიდან აცდენის საილიუსტრაციოდ მქვლევარს სხვა ადგილებიც მოჰყავს ჩვენი იმ დროინდელი ნაწერებიდან, რომლებშიაც მისი აზრით, «1905 წლის შემდეგ დროინდელ ქართული ლიტერატურის შესახებ საინტერესო დაკვირვებები, საყურადღებო და ან-გარიშ გასაწევი მოსაზრებებია გამოთქმული»; და ამ «ან-გარიშ გასაწევ» დებულებით სეტორს მოაქცია, საბჭოთა სამყაროში დღეს მრავალგვარად შენიშვნული, მაგრამ მხედური და აკტუალური ადგილები:

«პოლიტიკურად დამონებული ერი, რომელსაც დახმარებია თავიათავისუფალი ცხოვ. რებისკარი და რომელსაც არ ძალუ და რეალურად გამოხატოს თვისი წადილი — არსებულ პირობების გამო, — თვის წყურ. ვიღს გამოხატავს პოეზიის საშუალებით... სთხავს ბრძოლის პიმნებს». (ამოღებულია ჩვენი წერილიდან: «ფიქრები სამუშაოში ლიტერატურაზე». 『ერი』, 1913.).

ამ ქარსგმულ თქმის ამოხსნა მაშინდელ ცენზურისათვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო. ხოლო დღეს «ყველაზე უფრო თავისუფალ ქვეყანაში» ამის დაწერა კი არა, ამაზე ფიქრიც ხომ სახიფათო გამხდარა...

შევჩერდეთ ზოგიერთ სხვა ციტატებზე მაშინდელ ჩვენ წერილებისა, დღევანდელ საბჭოთა კრიტიკის «გიგანტურ გაქანებასთან» დასაპირისპირებლად:

«ჩვენ პირდაპირ», — ვკითხულობთ მიმოხილვის ერთ ამონაწერში თავისუფალ შემოქმედების დატყვევების შე-

სახებ, — «ვანდალურად მივდივა რთ პოეტთან, სულ ვაცლით, ინდივიდუალობას ვუხშობთ და პირდაპირვე მოვითხოვთ მისგან ამათუ იმგვარ ტენდენციის გატარებას, განსაზღვრულ პოლი. ტიკურ მრწამსის აღსაცავას... მაგრამ ჰე. შმარიტ ხელოვანს არ შეუძლიან დიდის ხნობით ამ განსა. ზღვრულ კალაპოტში გამომწყვდევა: მხატვრის ბუნება ინ. სტიქტით ცდილობს — ავტონომიური გახდეს. და აქ არის მისი ტრაგედიის ძირიც...».

თუ კი იმ პერიოდში ეს დებულებები რავდენიმედ მაინც ეხებოდა მწერლობის ერთ ჯგუფს, დღეის საბჭოთა «შემოქმედებას» ხომ მთლიანად ახასიათებს ეს «განდალური მიღვომა», «სულის ამოცლა და ინდივიდუალობის დახშობა»... და «განსაზღვრული პოლატიკური მრწამსის აღსარება», რადმელსც მძაფრად ებრძვის «მხატვრის ბუნება, რათა «ავტონომიური გახდეს»; ეს ბრძოლა გარდაუვალად მისი თვით მკვლელობით, ან მოკვლით თავდება და სწორედ «აქ არის მისი ტრაგედიის ძირიც...»

საბჭოთა საქართველოში ამ სტრიქონების წამკითხველს მრავალი დაღუპული და განგმირული მწერლები მოაგონ. დება და მას კომენტარიები არ სჭირია...

უფრო ნაკლებ განმარტებებს ითხოვენ საბჭოთა საქართველოს დღეის ვითარებაში ჩვენი 1913 წლის ერთერთ მიმოხილვიდან სამეცნიერო ინსტიტუტის კრებულში მოტანილი შემდეგი სიტყვები:

... «ჩვენმა ერმადა და პკარგა პოლიტიკური და ეკონომიკური და მონეტარული და გვაქვევთ აღარც (ქართველ) ხალხის ლიტერატურა გვაქვს დამოუკიდებელი...».

ეს და მრავალი ამ ხასიათის ციტატები, რაიც ამ ქრებულის რამდენიმე გვერდს იქვერნ, საბჭოთა სინამდვი. ლემია ქრულსად უჩვეულო სიაშკარასვით ეხებთან ჩვენი

ერის მტკიცნეულ ადგილებს და «შავად მღელვარ ფიქ-  
რებს» უფრო აღრმავებენ...

აქ ჩვენ ვერ შევუდგებით ჩვენი კრიტიკის კრიტიკო.  
სის ზოგ დასკვნათა გარჩევას. მაგრამ უნდა გამოვტყდეთ,  
ვფიქრობთ, რომ ეს მისი «კრიტიკა» აღბად არც იმდენად  
დამაჯერებლად მიაჩნია ჩვენს აკადემიის კრებულის თა-  
ნამშრომელს... სხვაგვარად აუხსნელია ეს გრძელი მობო-  
დიშებანი: «კრიტიკოსი მართალია», ბრძანებს ის ერთ ად-  
გალას, რომ ეს ლიტერატურა «ეპოქის ღვიძლი შვილიაო,  
ასევე სამართლანია მისი საყვედური ვრცელი ტილოების  
უგულვებელყოფის შესახებ, მაგრამ მიმოხილვის, თუ ანა.  
ლაზარის დროს რიგ შემთხვევებში მისი ძირითადი და მთა-  
ვარი კონცეფცია გარცეულ მომენტში თუ მარავბულად  
მისაღებად გვეჩენება, მეორე მხრივ, კრიტიკოსი ფორ.  
მალიზმის ჩარჩოებში ეჭკევა; მისი დასკვნებით რიგ შე-  
მთხვევებში ლიტერატურასა და ხელოვნებას ერთმევა სა-  
ზოგადოებრივი ფუნქცია და თავისთვად მივდივართ  
წმიდა ხელოვნების თვალსაზრისამდე...  
«გარდა ამისა», განცემაში ავტორი, «უფრო მცდარია  
მისი შეხედულება იმის შესახებ, რომ ქართული ლიტერა-  
ტურა იმ პერიოდში თათქოს არ ყოფილიყოს დამოუკი-  
დებელი, რაღაც ან თვით ჩვენ, როგორც  
ერთა რვართ და მოუკიდებელიოთ»...  
და დასძენს, რომ — «აკაკი პაპავა გრძნობს ლიტერატურის  
არსებით ნაკლს, სურს მისი გაჯანსაღება, მაგრამ ანალიზის  
დროს ის თანმიმდევრობას ვერ იჩენს, მოვლენების მთავარ  
აზრს ვერ წვდება, არასწორ ესთეტიურ და იდეურ პოზი.  
ციებზე სდგასო» და ბოლოს დასკვნის, რომ ა. პაპავას  
«მსოფლმხედველობა ჩამორჩება მის ლიტერატურულ  
აღლოსო». ეს «ჩამორჩენა» აღბად იმ «ღიღი ცოდვითაა»  
გამოწვეული, რომლისაგანაც ჩვენი მკვლევარი დიდი ხანია  
იხსნა მისმა «ულტრა მატერიალისტურმა კონცეფციამ»,  
მისმა ნიღილისტურმა მიდგომაშ ისეთ რთულ და სათუთ

სამყაროსადმი, როგორიცაა ესტეტიური შემოქმედება და ხელოვნების საიდუმლოება.

ამგვარ ვულგარიზაციიდან, სამწუხაროდ, არც სამეცნი ერთ აკადემიის თანამშრომელნი არიან დაზღვეულნი — ისინიც ხომ «მესამე მოქცევაში» მოჰყოლიან...

\*\*\*

დღეს 26 მაისის და 25 თებერვლის კრიტიკის სულ მცირე ეპიზოდების დაპირისპირებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

პირველი, ცარისტული რუსეთის ცენზურულ პირობებში მაინც ახერხებდა ქართულ კლესიეურ მწერლობის სახელოვანი ტრადიციების გზები გაეგრძელებინა და დაპყრობილ ერის კვლავ აღდგომის ზრახვები და იდეალები მხატვრულ ფორმებში გაეშალა.

ამ მისი ბრძოლის საჭურველი იყო ჰუმანიური სამართლიანობა და საქართველოს გრძელ წარსულში მისი თავისებურობის და როლის ჭეშმარიტი გამოვლინება.

ამ სამართლიანობით და ისტორიულ სიმართლით იყო ის ძლევრი და მაღალი...

25 თებერ. კრიტიკა კი სრულიად ამის საწინააღმდეგოა და ამით ყოველგვარ მაღალის ცინიკურად დამგმობი. მისი სათავეები მხოლებდ ყალბად შეთხზულ «ფაქტებიდან» მომდინარეობენ. (მითომ საქართველოში მომხდარ «აჯანყების» და დიდი მოძმის, რუსეთის მიერ დამოუკიდებლობის მძიმე ბორკილებიდან «განთავისუფლებისა». ) ამ სიცრუეს ის ყალბისავე პათოსით იმეორებს; თაა ჭეშმარიტება — სამართლიანობაზე აღზრდილ ქართულ მწერლობისაგან მოითხოვს, — ეს სიყალტე და მლიქვნელობა ესტეტიურის ათვისებით «გააფორმოს».

ჭეშმარიტად, შემოქმედებისათვის უფრო მძაფრი ტეკვილების მიყენება არც ერთ ჯალათს არ შეეძლო და პოეტმა ყველა ჩვენი მგოსნების სახელით გულგამგმირავის სიტყვებით ამოატირა მისი «ამქრების» ეს უბედურება:

«ვფართხალებ, ვიწვი, ვცდილობ აფრენას,

ძარს ვენარცხები, მემსხვრევა ფრთები;

სისხლი თქრიალით მიმატებს დენას,

ფრინველი ცასა, მიწას ვეკვრები...» (აბაშელი).

ეს წამება ქართველ მწერლებისა არც მის შემდეგ შე-  
ნელებულა, რაც ათასჯერ და აბაშელის სულს  
სიკვდილის შემდეგ განუტევეს და ქებაც უძღვნეს ისე, რო-  
გარც ტ. ტაბიძეს, პ. იაშვილს, მ. ჯავახიშვილს და სხვებს...

და აი დღეს, როცა თავისუფალ საქართველოს სულის,  
მისი ყველაზე უფრო სათუთი და მგრძნობიარე ესტე-  
ტიურ სამყაროს ვერაგულ მოკვლიდან 40 წელს სრულ-  
დება, 25 თებერვლის «კრიტიკა» თვის «სიმაღლეზე»  
სდგას და მწერლობისაგან ახალ მსხვერპლს მოითხოვს.

ის დიდ სამზადისშია: მას უნდა ქართულ მწერლობას  
დიალის ზეიმობით ჩაატარებინოს ჩვენი დაპყობის 40  
წლის თავი. ამით ის ცდილა ჩვენი სახელოვანი მწერლო-  
ბის ტრადიციების ყველა ნაშთები ამოაგდოს და დამცყრო-  
ბელისაგან ახალი «ორდენი» დაიმსახუროს.

საუბილეო ხოტების და პანეგირიკების დამზადებას  
ის ამ თავითვე მოითხოვს და შესაფერ ბრძანებებს ერთი  
წლით ადრევე მოსკოვიდან უგზავნის ჩვენს მწერლებს  
(იხ. «პრავდის» საგანგებო ფურცელი, რომელიც მოტა-  
ნილრა თბილისის «სალიტერატურო გაზეთში», ნომერი 5,  
1960 წლისა).

ასევე იხდადნენ რუსეთი და მისი ერთგული ქართველი  
«მომსახურენი» 1901 წელს საქართველოს რუსეთთან «ნე-  
ბაყოფლობით შეერთების» ასი წლის იუბილეის; მაგრამ  
ქართულ მწერლობას იმ «ზეიმში» მონაწილეობა არ მი-  
უღია... წინააღმდეგ, ის დედლ, ლირსეულ გზას გაჰყვა და  
საქართველოს აღდგომისათვის ბრძოლა უფრო გაამახვი-  
ლა, მოწინავე ქართველობა დარაზმა და გულში თავი-  
სუფლების ცეცხლი გაუჩალა.

ასე სუნთქვდა და ღელავდა რევოლუციამდელ საქარ-  
თველოს განთავისუფლების იდეები ჩვენი პოეზიისა და

კრიტიკის სტრიქონებში და სტრიქონებში უფა; მეტწლად სიმბოლიურად და შენიღბულად, მაგრამ მუდამ ერის გულში ჩამწვდენად...

ასე გრძელდებოდა ჩვენი სასიქადულო კლასიკურ მწერლობის ნათელი ტრადიცია.

როგორც ვსთქვით, ეს არ იყო ცალკეულ დიდ, თუ პატარა მწერლის დამსახურება. ეს იყო ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის გამოვლინება, მასი იდუმალი ზრახვების და შინაგანი ღელვის მხატვრული გაშლა. იყო ნამდვილი და გულწრფელი, როგორც უნდა იყოს ჭეშმარიტი ხელოვნება. ამან გაახანგრძლვა «ქართლის ცხოვრების» გზა, გახსნა ერის პოტენცია და ყველამ იხილა მზე 26 მაისისა...

რაც შემდეგ მოხდა და რამაც 26 მაისი იმსახურებლა, ეს ქართული აღარ იყო და მის «იუბილეებს» დამპყრობელნი და მათი პატარა მოსამსახურები და მონები იზეიმებენ.



ვიმეორებთ, ჩვენი მიზანი იყო ძველი კრიტიკის დაპირისპირება დღეის «საბჭოთა კრიტიკასთან», რომელმაც ჩვენს მწერლობას ყოველგვარი თავისუფალი გაქანება წაართვა, ემოციების და მხატვრულ აღმაფრენის ყველა გზები დაუხშო და ერისა და პიროვნების დამონება აპოლოგიად გაუხადა. ამნაირად, საბჭოთა კრიტიკამ ტრადიციული ღირსება ავყარა ჩვენს სახელოვან ლიტერატურას და ქართველი მწერლის სახელი დაამდაბლა...

ამ დიდი უბედურების მიზეზიც ხომ იმავ 26 მაისის მზის დაბნელებაში უნდა ვეძიოთ.

ქართული მწერლობა ამ «ზეიმებს» ან მგლოვიარე დუმილით შეხვდება, ან «ფუნქციონერ-კრიტიკოსთა» ჩაძახილს უგულოდ და უშინაარსოდ ამოიძახებს...


ყველა ამის ნახვამ და განცდამ განაწამებ ქართველ მწერალთა სახელით ერთ მის საუკეთესო მგოსანს გულის სიღ-

რმიდან ამოაძებინა:

... «და წყელვა ომას, გინც ჩრდილოეთის ველურ ყაჩა—  
ღებს

გაულო კარი თერგდალეულ დარიალისა»...

და მომავალ ყველა «ზემებზე», ჩვენი ქვეყნის დაპყრობის  
«იუბილებზე» ქართველ მწერალთა გულში იგივ წყევ-  
ლა იქმნება დაგუბებული. ჩვენი მწერალი მამა—პაპათა  
ბრწყინვალე ანდერძს ვერ განუდგება და არც განუდგება.  
აშენად თუ შენიობულად იგი მარად თბილისის ლირსე-  
ულ მატიანესთან დარჩება...



ყდა ლეო ჭეიშვილისა.

068/304

Este libro fue impreso en los talleres de la Imprenta "El Imparcial", San Diego 67, Santiago (Chile), en mayo de 1960.

საქართველო  
სიკურიტეტი

საქართველოს ცენტრალუ ბიბლიოთეკა



K 69.030/2